პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

28 ოქტომბერი შაბათი 1972 წელი 2 კაპ.

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან ● № 254 (15467)

სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

მინების მელიორაციის სამუშაოთა შემდგომი გაძლიერებისა და სარწყავი და ამოშრობილი მინების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილება მიწების მელიორაციის სამუშაოთა შემდგომი გაძლიერებისა და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გაუმჯობესების შესახებ.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისა და სახოფლო-სამეურნეო კულტურების მყარი მოსავლის მიღებისათვის, განსაკუთრებით კვეყნის მთელი რიგი ზონების რთულ მეტეოროლოგიურ პირობებში, სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება სამუშაოთა გაძლიერებას მიწების მელიორაციისათვის და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გაუმჯობესებას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1966 წლის მაისის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მიიღო მიწების მელიორაციის სამუშაოთა ფართო პროგრამა, პარტიულმა, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის ორგანიზაციებმა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა მნიშვნელოვანი მუშაობა განახორციელეს ამ პროგრამის შესასრულებლად და სარწყავი და ამოშრობილი მიწების გამოყენების გასაუმჯობესებლად. წყალსამეურნეო მშენებლობის განხორციელებას დიდად უწყობენ ხელს სამრეწველო საწარმოთა და სამშენებლო ორგანიზაციათა მუშები, სპეციალისტები და ხელმძღვანელები.

ამასთანავე სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების ყურადღება მიაქცია წყალსამეურნეო მშენებლობასა და მელიორირებული მიწების გამოყენებაში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებებს.

მიწების მელიორაციისათვის გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებებს მთლიანად არ ითვისებენ, სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების გეგმები მთელ რიგ მოკავშირე რესპუბლიკებში არ სრულდება, ჯერაც დაუთავრებელია მოძველებული პროექტების გადახედვა, დაბალია სამუშაოთა ხარისხი. ნელა ინერგება სარწყავ და საშრობ სისტემათა ექსპლოატაციის პროგრესული ხერხები.

მთელი რიგი რაიონების პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის ორგანოები ურიგდებიან სარწყავ და ამოშრობილ მიწებზე სახოფლო-სამეურნეო კულტურათა ცალრე მოსავლის მოყვანის ფაქტებს, არ ითხენენ საჭირო მომთხოვნელობას მეურნეობათა ხელმძღვანელებისადმი, რათა მაღალეფექტიანად იყენებდნენ ოვითეული ჰექტარ მელიორირებულ მიწას.

დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ მიწების მელიორაციის სამუშაოები უნდა მივიჩნიოთ როგორც ძირითადი რგოლი პარტიის ხანგრძლივი პროგრამისა, რომელიც მიზნად ისახავს მიწების ნაყოფიერების ძირეულ გაუმჯობესებასა და სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპის დაჩქარებას.

ბამბის, ბრინჯისა და შაქრის ჭარხლის მთესველ რაიონებში მიწების მელიორაციის შემდგომ განვითარებასთან ერთად უნდა დაჩქარდეს მიწების მორწყვის სამუშაოები გვალვიან მარცვლეულის რაიონებში, უწინარეს ყოვლისა ვოლგისპირეთში, უკრაინის ჭელის ნაწილში, ჩრდილოეთ კავკასიასა და ყაზახეთში, განსაკუთრებულ ხანგავი მიწებისა და ბუნებრივი საკვები სავარგულების მელიორაცია რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმოწანიდადგინ ზონაში, ბელორუსიისა და უკრაინის პოლესიეს დაბლობზე და შორეულ აღმოსავლეთში, აუნდეს სარწყავი სისტემები დიდი ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების მომარაგებისათვის განკუთვნილი ბოსტნეულისა და საადრეო კარტოფილის წარმოების გასაფართოებლად.

გათვალისწინებულია აგრეთვე, რომ უზრუნველყოთ ქვეყნის ყველა ზონაში მიწების მელიორაციის სამუშაოთა შესრულება, რათა გავადიდოთ საკვების წარმოება მინდვრის თესლბრუნვებში, შევქმნათ სარწყავი კულტურული ხეტრები, გავაუმჯობესოთ ბუნებრივი საკვები სავარგულები და გავაწყლოვანოთ ხეტრები უდაბნოს ზონაში.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება 1973 წლისათვის აწესებს კონკრეტულ დავალებებს მელიორირებული მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის, მათი ხარისხობრივი გაუმჯობესებისა და იმ მიწებზე კულტურულ-ტექნიკური სამუშაოთა განხორციელებისათვის, რომლებიც არ საჭიროებენ ამოშრობას, აგრეთვე სარწყავი კულტურული ხეტრების საექსპლოატაციოდ გადაცემისათვის.

პარტიული, საბჭოთა, სოფლის მეურნეობისა და წყალთა მეურნეობის ორგანოები მოწოდებული არიან ფართოდ გაშალონ სოციალისტური შეჯიბრება, რათა უზრუნველყონ მელიორირებული მიწების რაც შეიძლება მალე გადაცემა საექსპლოატაციოდ და მათი ეფექტიანი ათვისება, ყოველი ღონისძიებით დაუჭირონ მხარი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ინიციატივას და დაეხმარონ მათ საკუთარი სახსრებით სამელიორაციო სამუშაოთა შესრულებაში. დასახულია ამოცანა, რომ უზრუნველყოფილ იქნას გამოყოფილ კაპიტალურ დაბანდებათა მაღალეფექტიანი გამოყენება, შესრულდეს სახელმწიფო გეგმები წყალსამეურნეო მშენებლობის ყველა მაჩვენებლის მიხედვით, გაუმჯობესდეს მშენებლობის ხარისხი და დაჩქარდეს ტექნიკური პროგრესი.

წლიური გეგმების შესრულების პროცესში უნდა გამოვნახოთ დამატებითი შესაძლებლობანი და რესურსები მიწების მელიორაციის სამუშაოთა შემდგომი დაჩქარებისათვის, და უწინარეს ყოვლისა რუსეთის სფს რესპუბლიკის არაშავმოწანიდადგინ ზონაში და ვოლგისპირეთში, ამასთან უწინარეს ყოვლისა მხედველობაში ვიქონიოთ არაშავმოწანიადდგინან ზონაში საკვები სავარგულების გაუმჯობესება და წყალსამეურნეო ორგანიზაციების სიმძლავრეთა განვითარების დაჩქარება.

საჭიროდ არის მიჩნეული დაჩქარდეს სარატოვისა და კუიბიშევის არხების და მთელი რიგი სხვა ობიექტების შენებლობა, ამ ბაზაზე გაიზარდოს სარწყავი მიწების საექსპლოატაციოდ გადაცემა და უზრუნველყოფილ იქნას მათი სწრაფი სახოფლო-სამეურნეო ათვისება, აგრეთვე 1978 წლის განხორციელდეს ბოსამზადებელი სამუშაოები და 1974 წელს დაიწყოს ძირითადი სამუშაოები ვოლგა-ურალის სარწყავ-განაწყლიერებელი არხის მშენებლობისათვის ვოლგოგრადის, სარატოვის, ურალისა და ვერეიეის ოლქების მიწების მოსარწყავად.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალურ კომიტეტებსა და მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს, პარტიულ, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს დაავალეს განახორციელონ ღონისძიებები, რათა აამაღლონ სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციის ტექნიკური დონე, დანერგონ პროგრესული ორგანიზაციული ფორმები და მოახდენონ სარემონტო-საექსპლოატაციო სამუშაოების მაქსიმალური მექანიზაცია, უფრო ფართოდ გამოიყენონ ავტომატიკა და ტელემექანიკა სისტემების მუშაობის მართვაში, აგრეთვე განამტკიცონ საექსპლოატაციო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომ უახლოეს წლებში განხორციელდეს საექსპლოატაციო სამუშაოების ინდუსტრიალიზაცია.

სამელიორაციო ობიექტების მშენებლობის კომპლექსურობის გაუმჯობესების მიზნით დადგენილია მიწების მელიორაციისა და მათი სახოფლო-სამეურნეო ათვისების პროექტების შედგენის წესი. მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სამხარეო, საოლქო აღმასკომებსა და სამინისტროებს, რომელთა გამგებლობაშია საბჭოთა მეურნეობები, დაევალათ წლიური გეგმების შემუშავებისას გაითვალისწინონ კაპიტალური დაბანდებანი საბჭოთა მეურნეობებში საწარმოო და სხვა მშენებლობისათვის, რათა უზრუნველყონ საექსპლოატაციოდ გადაცემული მელიორირებული მიწების დროული ათვისება, აგრეთვე დამბარება გაუწიონ კოლმეურნეობებს ამ მიზნებისათვის სახსრების გამოყოფაში.

სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტრიფიკაციის სამინისტროს, სსრ კავშირის მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სამრეწველო მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის მშენებლობის სამინისტროს, სსრ კავშირის სასოფლო მშენებლობის სამინისტროს, სატრანსპორტო მშენებლობის სამინისტროს, გაზის მრეწველობის სამინისტროსა და მოსკოვის საქალაქო საბჭოს აღმასკომთან არსებულ მოსკოვის მთავარმშენს დაუწესდათ წყალსამეურნეო მშენებლობებზე, წყალსამეურნეო ორგანიზაციების საწარმოო ბაზისა და სამელიორაციო მიწების სახოფლო-სამეურნეო ათვისების ობიექტებზე საიჯარო სამუშაოთა შესრულების 1973 წლის დავალებანი.

საკოფლტექნიკას დაეკისრა დასაწყებელი მანქანებისა და მოძრავი სატუმბავი სადგურების რემონტი და ტექნიკური მომსახურება, ხოლო გეომშენებლობის მრეწველობის სამინისტროს — „ფრეგატის“ დასაწყებელი მანქანების ტექნიკური მომსახურება.

მიწების მელიორაციის საჭიროებებისა და სამელიორაციო სისტემების ექსპლოატაციისათვის 1973 წელს გამოყოფილია საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები. სსრ კავშირის სატრაქტორო და სახოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროს, სამშენებლო, საგზაო და კომუნალური მანქანათმშენებლობის სამინისტროს, გემთმშენებლობის მრეწველობის სამინისტროს, საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტროს, საავიაციო მრეწველობის სამინისტროსა და მთელი რიგ სხვა სამინისტროებსა და უწყებებს დაეწესებათ 1973 წელს სახოფლო-სამეურნეო კულტურების რწყვისათვის საჭირო მანქანებისა და მოწყობილობების, მცურავი სატუმბავი სადგურების, სამელიორაციო მანქანების, ფოლადისა და ალუმინის მილსადენების, ტრანსფორმატორული ქვესადგურებისა და სხვა მანქანების, სამელიორაციო სამუშაოთა დადგენილი გეგმების შესრულებისათვის საჭირო მოწყობილობის, ნაწარმისა და მასალის წარმოებისა და მოწოდების კონკრეტული დავალებანი.

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, საკოფლტექნიკასთან ერთად და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების მონაწილეობით დაეკვალა შეიმუშაოს და სკკპ ცენტრალურ კომიტეტსა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში წარადგინოს მიწების მელიორაციისა და მელიორირებული მიწების გამოყენების ეფექტიანობის შემდგომი ამაღლების 1973-1980 წლების გეგმის პროექტი.

ხაზგასმით აღნიშნავენ რა სამელიორაციო მშენებლობის და მელიორირებული მიწების მაღალეფექტიანი გამოყენების პროგრამის შესრულების, როგორც სახოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდის ტემპის შემდგომი დაჩქარების უმნიშვნელოვანესი საშუალების, უდიდეს სახალხო-სამეურნეო მნიშვნელობას, სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალეს სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, ადგილობრივ პარტიულ, საბჭოთა, სასოფლო-სამეურნეო და წყალსამეურნეო ორგანოებს განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ყველა იმ ღონისძიების განხორციელებას, რომლებიც გათვალისწინებულია დადგენილებით, ამასთან მიიჩნიონ ეს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფოებრივი ამოცანად.

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

1972 წლის 27 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ამხ. მ. ა. სუსლოვმა მიიღო ფირმა „ოქსიდენტალ პეტროლეუმ კორპორეიშნის“ გამგეობის თავმჯდომარე არმანდ ჰამერი, რომელიც ცნობილია საბჭოთა კავშირთან დიდი ხნის საქმიანი ურთიერთობით და პირადად შეხვედრია ვ. ი. ლენინს. ჰამერმა საბჭოთა ხალხს საჩუქრად გადასცა ვ. ი. ლენინის ორი წერილი.

ამასთან მან გადასცა წერილი სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევისა სახელზე, რომელშიც კერძოდ, ნათქვამია:

„დიდად პატივცემულო ბატონო გენერალურო მდივანო! ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის პირადი წერილების გადმოცემა თქვენთვის ისახავს ერთადერთ მიზანს — გამოხატოს ჩემი კეთილი გრძნობები საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებისა და ხალხისადმი და მადლობა დიდ ადამიანთან მეგობრობისათვის, რომლის მოგონება ჩემთვის მუდამ წმიდათაწმიდა იქნება“.

მიიღო რა წერილი, ამხ. მ. ა. სუსლოვმა თქვა:

ჩვენ დიდად მადლობელი ვართ თქვენი, პატივცემულო ბატონო ჰამერ, თქვენი საუცხო საჩუქრისათვის — დიდი ლენინის წერილების დედნების გადმოცემისათვის. ჩვენთვის — საბჭოთა ადამიანებისათვის ჩვენი ბელადისა და მასწავლებლის ყოველი ხელნაწერი განსაკუთრებით ძვირფასია, ნამდვილად ფასდაუდებელია.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის სახელით და პირადად ჩვენი ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის სახელით გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი კეთილშობილური საქციელისათვის.

ნება მიბოძეთ გადმოგცეთ ვ. ი. ლენინის პორტრეტი, შესრულებული ლითონზე მხატვარ ვალიკვისა და ქალაქ ზლატოუსტის ოსტატ-გრავიორების მიერ. იმედი გვაქვს, რომ ეს პორტრეტი მოიგონებთ თქვენს სამასხოვრო შეხვედრებს ვლადიმერ ილიას-ძესთან.

გარწმუნებთ, ბატონო ჰამერ, აგრეთვე, რომ ჩვენ ფრიად ვფიქრობთ თქვენს მეგობრულ დამოკიდებულებას საბჭოთა ქვეყანასთან.

ნ. ვ. პოდგორნიმ მიიღო რუმინელი პარლამენტარები

სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ნ. ვ. პოდგორნიმ 27 ოქტომბერს კრემლში მიიღო რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის დიდი ეროვნული კრების დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის აღმასკომის წევრი, კრების თავმჯდომარე შტეფან �ეგმი.

გულთბილი მეგობრული საუბრის დროს შტეფან ციოტეამ ნ. ვ. პოდგორნის გადაუჩინა საბჭოთა კავშირში მოგზაურობის შთაბეჭდილებანი, გულითადი მადლობა გადაუხადა საბჭოთა ადამიანებს ძმური მასპინძლობისათვის. (საკდესი).

სამოგზაურო

27 ოქტომბერს მოსკოვიდან ტოლიატში გაემგზავრა იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯულიო ანდრეოტი, რომელიც სსრ კავშირში ოფიციალური ვიზიტით არის საბჭოთა მთავრობის მოწვევით. საბჭოთა კავშირიდან გაფრენის წინ იტალიის თავრობის მეთაური ეწვევა აგრეთვე ლენინგრადსა და კიევს.

იმავე დღეს იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ჯულიო ანდრეოტი ტოლიატში ჩავიდა.

საღამოს ჯ. ანდრეოტი ტოლიატიდან ლენინგრადს გაემგზავრა.

27 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული მუ ტოსანი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ტაო ბან ჰუნნმი. საუბარი გულითად და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ვიეტნამის წარმომადგენლებმა გადასცეს ტექსტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 26 ოქტომბრის განცხადებისა ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე შექმნილი მდგომარეობის გამო. ხელმძღვანელობდნენ რა ამ განცხადებით, ფუ ტოანმა და კაო ვან ჰუნგმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკების **დროს** ცდილობენ თავი აარიდონ შეთანხმებას და გაჭიანურონ საომარი მოქმედება; მათ დაადასტურეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობათა მისწრაფება — ყოველი ღონე იხმარონ ვიეტნამის მშვიდობის აღსადგენად.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ ვიეტნამელი ხალხის მამაცურ ბრძოლას კვლავაც დაუჭერენ მხარს საბჭოთა კავშირი, მთელი საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა მხრივ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებას. აღინიშნა, რომ საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ღონისძიებებს შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის. ამ ომის განგრძობას შეიძლება მოაყვეს მხოლოდ ახალი მსხვერპლი და ნგრევა, მაგრამ ვერ შეუშლის ხელს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებას.

გამოთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების თაობაზე გაგრძელდება და მას მალე მოაკვედა ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ეს შეესაბამება არა მარტო ვიეტნამელი და ამერიკელი ხალხების ინტერესებს, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებსაც. (საკდესი).

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

გავაძლიეროთ სამშემოდგომო სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა ჯემპი

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მოისმინა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის ი. რთველიაშვილისა და საქართველოს სსრ საბჭოთა მეურნეობების მინისტრის ბ. ღვინჯილიას ინფორმაციები სასოფლო-სამეურნეო კულტურებისა და მეცხოველეობის საკვების აღებისა და დამზადების, საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვის, მზრალად ხვნის, თესლის შეხახვის გეგმების შესრულების მიმდინარეობის შესახებ. აღინიშნა, რომ სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამზადება და მოყიდვა ძირითადად დაამაყაყოფილებლად მიმდინარეობს. დიდი გადაჭარბებით შესრულდა ხარისხოვანი ჩაის ფოთლის დამზადების წლიური გეგმები და ვალდებულებები. კარგად მოაწყვეს სახელმწიფოსათვის სამინდის მარცვლის მიყიდვა წითელწყაროს, სიღნაღის, ყვარლის, გურჯაანის, ახმეტის, საგარეჯოს, გორის, ობაშის, ზუგდიდის, სამტრედიის, ხობისა და ზოგიერთი სხვა რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, რომლებმაც შემჭიდროებულ ვადებში აიღეს მთელი მოსავალი და პირნათლად შეასრულეს სახელმწიფოს წინაშე ნაკისრი ვალდებულებანი.

წარმატებით მიმდინარეობს ხილის, ბაღჩეულის, ხორცის, რძის, კვერცხისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების დამზადება.

მაგრამ, მიუხედავად ხელსაყრელი ამინდის პირობებისა, ბოსტნეულის, შაქრის ჭარხლის, სიმინდის, ეთერზეთოვანი კულტურების აღება და დამზადება ნელა მიმდინარეობს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემების თანახმად, 23 ოქტომბრისათვის შაქრის ჭარხალი აღებული იყო 468 ჰექტარით ნაკლებ ფართობზე, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს შაქრის ჭარხლის აღება ხაშურის, გორის, ქარელი რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

მიუხედავად დიდი შესაძლებლობებისა, რაც მეურნეობებს მოეპოვებათ, მნიშვნელოვნად შენელდა ბოსტნეულის დამზადების ტემპი ქარელის, წულუკიძის, ბოლნისის, წყალტუბოს, თერჯოლის რაიონებში, აფხაზეთის ას რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

რესპუბლიკის ზოგიერთ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში ჭიანურდება საძალეცლე სიმინდის აღება. შესამჩნევად ჩამორჩენიან ამ საქმეში აფხაზეთის ას რესპუბლიკის კოლმეურნეობები, რომლებმაც სიმინდი მოტეხეს მხოლოდ თვეში ფართობის 29 პროცენტზე, საბჭოთა მეურნეობებმა კი მოსავლის მხოლოდ ნახევარი აიღეს. უაღრესად არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს სახელმწიფოსათვის სიმინდის მარცვლის მიყიდვა აფხაზეთის ას რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, წყალტუბოსა და ზოგიერთ სხვა რაიონში, ნელია სიმინდის აღების ტემპი ახალციხის, დმანისის, თიანეთისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებშიც.

არადამაკმაყოფილებელია ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადებაც. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 27 ათასი ტონისა, 23 ოქტომბრისათვის დამზადებულია 15.374 ტონა. ეთერზეთოვანი კულტურების ნედლეულის დამზადებაში ჩამორჩენიან ლაგოდეხის, ყვარლის, მარნეულის რაიონები და აფხაზეთის ას რესპუბლიკა.

მიუხედავად იმისა, რომ თანბაყოს შეტეხვის სახელმძღვანელო გეგმა რესპუბლიკამი შესრულდა, კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უნდა განახორციელონ ენერგიული ღონისძიებანი, რათა ეფექტურად აიღონ მთელი მოსავალი.

ხელსაყრელი ამინდის პირობები საშუალებას იძლევა სწრაფი ტემპით წარმოებდეს საშემოდგომო თავთავიანი კულტურების თესვა. საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრეს ეს სამუშაო ასპინძის რაიონისა და ქალაქ ჭიათურის ზონის მეურნეობებმა, წარმატებით ამთავრებენ თესვის კამპანიას აგრეთვე ქარელის, სავარეჯოს, ახმეტის, დმანისისა და თერჯოლის რაიონების კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები.

მაგრამ, როგორც ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებიდან ჩანს, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 171.966 ჰექტარისა, 23 ოქტომბრისათვის დათესილია 117.672 ჰექტარი, ანუ გეგმის 68 პროცენტი. ეს 36.571 ჰექტარით ნაკლებია, ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. საშემოდგომო კულტურების თესვა ჭიანურდება სიღნაღის, გორჯაანის, ყვარლის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, ლაგოდეხის, დუშეთის, სამტრედიისა და სხვა რაიონებში.

23 ოქტომბრისათვის მზრალად ხვნის გეგმა რესპუბლიკან შეასრულა 53 პროცენტით, მათ შორის კოლმეურნეობებმა — 49 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობებმა — 59 პროცენტით. მზრალად ხვნას წარმატებით ეწევიან ქარელის, ხაშურის, ბოგანდოკის, ბორჩომის, გორის, ჯასპის, მარნეულის, დუშეთის რაიონების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები. მაგრამ საგარეჯოს, გურჯაანის, წითელწყაროს, თელავის, ბოლნისის, თეთრი წყაროს, დმანისის, ზესტაფონის, თერჯოლის, წყალტუბოს რაიონებში და აფხაზეთის ას რესპუბლიკაში მზრალად ხვნის ტემპი მნიშვნელოვნად ჩამორჩება საშუალო რესპუბლიკურ მაჩვენებლებს.

რესპუბლიკის კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები საკვებით უზრუნველყოფილი არიან საშემოდგომო კულტურების თესლით, ამასთან, მხოლოდ პირველი და მეორე კლასის თესლით. მაგრამ უნდა გაძლიერდეს მუშაობა იმისათვის, რათა უზრუნველყონ საგაზაფხულო კულტურების თესლის საჭირო კონდიცია.

რესპუბლიკაში დიდი მუშაობა მიმდინარეობს მეცხოველეობისათვის საკვების დასამზადებლად. 23 ოქტომბრისათვის შარშანდელთან შედარებით დამზადებულია გაცილებით მეტი: უხეში საკვები — 22,1 ათასი ტონა, მზა სილოსი — 122,2 ათასი ტონა, ვიტამინიანი ბალახის ფხვნილი — 1061 ტონა. სენაჟის დამზადების გეგმა შესრულებულია 164 პროცენტით. გეგმით გათვალისწინებული 39 ათასი ტონის ნაცვლად დამზადებულია 63.851 ტონა სენაჟი.

უხეში საკვების დამზადების გეგმები მნიშვნელოვანი გადაჭარბებით შეასრულეს ასპინძის, საგარეჯოს, გურჯაანის, წითელწყაროს, თელავის, ახმეტის, ყვარლის, გარდაბნის, მარნეულის, თეთრი წყაროს, ონისა და ამბროლაურის რაიონების მეურნეობებმა. წარმატებით მიმდინარეობს უხეში საკვების დამზადება სიღნაღის, ადიგენის, ახალციხის, ლაგოდეხის, ბოლნისის, მესტიის რაიონებშიც. ამასთან ერთად, ასპინძის, ლუშეთის, ბაბაშის, გეგეჭკორის, ზუგდიდის რაიონებში, აფხაზეთის ას რესპუბლიკასა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში უხეში საკვების დამზადების მეგზარეობა ჯერ კიდევ არადამაკმაყოფილებელია.

სილოსის ჩაგების გეგმა შესრულეს ასპინძის, გორის, ზესტაფონის, თერჯოლის, ცხაკაიას, ზუგდიდის, ხობის, ლაზეხოთის რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. სამაგიეროდ უაღრესად ნელა ამზადებენ სილოსს ახალციხის, ქარელის, ყვარლის, ლაგოდეხის, დუშეთის რაიონებში და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობისა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროები, შესაბამისი ტრესტები, სოფლის მეურნეობის რაიონული სამმართველოები, კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ახორციელებენ სათანადო ღონისძიებებს, რათა აგროტექნიკურ ვადებში დაამთავრონ სახოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის აღება და მეცხოველეობისათვის საკვების დამზადება, საშემოდგომო კულტურების თესვა და მხრალად ხვნა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საბჭოთა მეურნეობების სამინისტროს, შესაბამის ტრესტებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ სამმართველოებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს ან ახორციელებენ ოლქის აღმასკომი, რაიაღმასკომები მოუალენი არიან აამაღლონ სოფლის მშრომელთა აქტივობა, დაარაზმონ კომუნისტები და კომკავშირელები, კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობების მუშები, რათა რაც შეიძლება სწრაფად დაამთავრონ საშემოდგომო კულტურების თესვა და მზრალად ხვნა, აიღონ მთელი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავალი, დაამზადონ საკვები მეცხოველეობისათვის და ახალი შრომითი წარმატებებით შეეგებონ საბჭოთა ხალხის დიდ დღესასწაულს — სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს. (საქინფორმი).

გულითად, მეგობრულ ვითარებაში

27 ოქტომბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა კრემლში მიიღო ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული მუ ტოანი და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი საქმეთა რწმუნებული ტაო ბან ჰუნნმი. საუბარი გულითად და მეგობრულ ვითარებაში მიმდინარეობდა.

ვიეტნამის წარმომადგენლებმა გადასცეს ტექსტი ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის 26 ოქტომბრის განცხადებისა ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების შესახებ მოლაპარაკებაზე შექმნილი მდგომარეობის გამო. ხელმძღვანელობდნენ რა ამ განცხადებით, ფუ ტოანმა და კაო ვან ჰუნგმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მოლაპარაკების **დროს** ცდილობენ თავი აარიდონ შეთანხმებას და გაჭიანურონ საომარი მოქმედება; მათ დაადასტურეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის მთავრობათა მისწრაფება — ყოველი ღონე იხმარონ ვიეტნამის მშვიდობის აღსადგენად.

ა. ნ. კოსიგინმა განაცხადა, რომ ვიეტნამელი ხალხის მამაცურ ბრძოლას კვლავაც დაუჭერენ მხარს საბჭოთა კავშირი, მთელი საბჭოთა ხალხი.

საბჭოთა მხრივ დაადასტურა, რომ მხარს უჭერს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის განცხადებას. აღინიშნა, რომ საგარეო პოლიტიკის ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ღონისძიებებს შეერთებული შტატების მიერ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებული ომის რაც შეიძლება მალე შეწყვეტისათვის. ამ ომის განგრძობას შეიძლება მოაყვეს მხოლოდ ახალი მსხვერპლი და ნგრევა, მაგრამ ვერ შეუშლის ხელს ვიეტნამელი ხალხის სამართლიანი საქმის გამარჯვებას.

გამოთქვა იმედი, რომ მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემის მოწესრიგების თაობაზე გაგრძელდება და მას მალე მოაკვედა ომის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების ხელმოწერა. ეს შეესაბამება არა მარტო ვიეტნამელი და ამერიკელი ხალხების ინტერესებს, არამედ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმის ინტერესებსაც. (საკდესი).

ინქინერთა კადრების კერა

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 50 წლისაა

რესპუბლიკის ცხოვრებაში დიდი მოვლენა იყო საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლისთავი. ამერკავკასიის უძველესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებელი თავისი არსებობის ნახევარი საუკუნის მანძილზე გახდა ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი სასწავლებელი, დიდი სამეცნიერო ცენტრი, რომელიც ცნობილია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ შორს მის ფარგლებს გარეთაც. საქართველოს პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა 75 სპეციალობის 52 ათასამდე მაღალკვალიფიციური ინჟინერი მოამზადა. ქვეყნის ყველა კუთხეში შრომობენ ამ ინსტიტუტის კურსდამთავრებულნი.

საიუბილეო ზეიმზე თბილისში ჩამოვიდნენ სტუმრები საბჭოთა კავშირის ბევრი მოძმე რესპუბლიკიდან, სოციალისტური ქვეყნების მთელი რიგი უდიდესი ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები.

27 ოქტომბერი, საიუბილეო ზეიმის მთავარი დღე დაიწყო იმით, რომ ინსტიტუტის ადმინისტრაციულ კორპუსში გაიხსნა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის ძეგლი.

საზეიმო მიტინგზე შეიკრიბნენ ინსტიტუტის მრავალათასიანი კოლექტივის წარმომადგენლები, მოძმე რესპუბლიკებიდან და საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები.

მიტინგზე გამოვიდნენ და სიტყვები წარმოთქვეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ი. ბუაჩიძე, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი დოცენტი გ. ნინუა, უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე დოცენტი გ. სტურუა.

ბელადის ძეგლის გახსნას დაესწრნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე შ. კიკნაძე, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი ს. რიგვავა, თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი.

* * *

...დილის 11 საათია. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზი ხალხით არის გაჭედილი. აქ, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საიუბილეო კრებაზე მოვიდნენ ჩვენი ქვეყნის ბევრი უმაღლესი სასწავლებლის წარმომადგენლები, სოციალისტური ქვეყნებიდან ჩამოსული სტუმრები. დასმენილთა შორის არიან იუბილარი უმაღლესი სასწავლებლის აღზრდილები, მეცნიერები და წარმოების მუშაკები.

პრეზიდიუმის მაგიდას უსხედან ამხანაგები: შ. კიკნაძე, ჯ. ბეწულიძეი, ზ. პაპარიძე, ე. შეთარდნაძე, ზ. ძოწენიძე, შ. ჭანუყვაძე, ო. მოსაშვილი, ჯ. პაპიაშვილი, პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი პ. ბილაშვილი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეები შ. ვადაჭკორია, ა. ლაბასუა, ვ. სირაძე, ე. ჯაფარიძე, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილე შ. ღლაშვილი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის განყოფილების გამგე ო. ჩერქეზია, თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე შ. ბუხრაშვილი, მინისტრები, რესპუბლიკის წარჩინებული ადამიანები, მეცნიერები, უმაღლეს სასწავლებელთა რექტორები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლები.

საიუბილეო კრება გახსნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლისთავის ზეიმის მომწყობი მთავრობის საიუბილეო კომისიის თავმჯდომარემ შ. კბილაძემ.

ტრიბუნაზეა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე. იგი უმაღლეს სასწავლებლის კოლექტივს მისესალმა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელით.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ნახევარსუკუნოვანი გზის შესახებ მოხსენება გააკეთა უმაღლესი სასწავლებლის რექტორმა, პროფესორმა ი. ბუაჩიძემ.

იუბილარი უმაღლესი სასწავლებლის კოლექტივს გულთბილად მიესალმნენ საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ბ. ჯიბლაძე, მოსკოვის ჩარხსაშენებელი ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვ. არშინოვი, ვარშავის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი ტ. ნმიმანი, კიევის სამოქალაქო ავიაციის ინჟინერთა ინსტიტუტის პრორექტორი, დოცენტი ბ. ნიპულინსკი, პრაღის უმაღლესი ტექნიკური სკოლის პრორექტორი, პროფესორი შ. დრაქანი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ე. ხარაძე, ბუკარესტის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, პროფესორი რ. ბიდია, აზერბაიჯანის ნავთობქიმიური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ა. ულეი-ზადე, ერევნის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი ა. ბასპარიანი, ბრნოს უმაღლესი ტექნიკური სკოლის პრორექტორი, პროფესორი ბ. ენინკლი, ყაზახეთის კიროვის სახელობის უნივერსიტეტის რექტორი, დოცენტი უ. ჯოლდასბაკოვი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი დ. ჩხეიძეშვილი, კრაკოვის სამთო-მეტალურგიული აკადემიის რექტორი, პროფესორი ნ. რეშეთნი, კოშიცის უმაღლესი ტექნიკური სკოლის რექტორი პროფესორი ა. პაპაკი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ამწყობი ზეინკალი, სოციალისტური შრომის გმირი მ. შერცხალავა, კაუნასის პოლიტექნიკური ინსტიტუტის პრორექტორი, დოცენტი ი. შვენბასასი, აზერბაიჯანის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი რ. ბადალოვი, რუსთავის მეტალურგიული ქარხნის დირექტორი ე. სულაძე, ტომსკის პოლიტექნიკური ინსტიტუტის რექტორი, პროფესორი ვ. მოსკალენკი, პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი.

საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა რ. აბაშიძემ უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა ძრავალთავიანი რაზმის სახელით მხურვალე მადლობა გადაუხადა პარტიასა და მთავრობას სტუდენტთა ცხოვრებაზე უდიდესი ზრუნვისა და ყურადღებისათვის და აღუთქვა, რომ იუბილარი ინსტიტუტის სტუდენტები ამ მამობრივ ზრუნვას უპასუხებენ ახალი წარმატებებით სწავლასა და შრომაში.

* * *

იმავე დღეს საიუბილეო ზეიმის მონაწილენი დასხენენ გამოფენის გახსნას. ამ გამოფენის ექსპონატები ამუშებენ უმაღლესი სასწავლებლის კოლეგიუმის ნახევარი საუკუნის სასეფლოგან ზუსს, კათედრების თანამშრომლების, პრობლემური და დარგობრივი ლაბორატორიების მიღწევებს მეცნიერების სხვადასხვა დარგში.

* * *

საღამოს საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის საკონცერტო დარბაზში გაიმართა დიდი კონცერტი, რომელიც მიეძღვნა საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის 50 წლისთავს. (საქინფორმი).

აჭარის პარტიული აქტივის კრება

ბათუმი, 27 ოქტომბერი. (საქინფორმი). აქ გაიმართა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო და ბათუმის საქალაქო ორგანიზაციების აქტივის კრება, რომელმაც განიხილა აჭარის საოლქო პარტიული ორგანიზაციის ამოცანები სამშენებლო მინდვრის სამუშაოების წარმატებით დამთავრებისა და ახალი, 1973 სასოფლო-სამეურნეო წლისთვის მზადების დარგში.

მოხსენება გააკეთა პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ა. თხილაშვილმა.

მოხსენებაში და პარტიის ბათუმის საქალაქო, ქობულეთის, ხელვაჩაურის, ქედისა და ხულოს რაიკომების პირველი მდივნების ა. კოპლატაძის, რ. სიორიძის, ა. ძნელაძის, შ. სირაბიძისა და მ. ბერიძის, შუახევის მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის ნ. ცეცხლაძის, ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის თავმჯდომარის ვ. ბაჯელიძის, ჩაქვის ვ. ი. ლენინის სახელობის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშის ა. ნოსაჩოვას, ხელვაჩაურის ჩაის ფაბრიკის დირექტორის ა. მერიცადის, საქართველოს ალკა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველი მდივნის რ. სარიშვილის, პოეტ ფ. ხალვაშის, ბათუმის მანქანათსაშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივნის ე. გოგაკაესა და სხვათა გამოსვლებში აღინიშნა, რომ აჭარის კომუნისტები, მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დიდი აღფოთოვანებით ემზადებიან, რათა ღირსეულად აღნიშნონ სსრ კავშირის შექმნის ნახევარი საუკუნის იუბილე. რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მშრომელები მთელ თავიანთ ძალ-ღონესა და უნარს აზმარენ წლევანდელი მოსავლის დროულად და უდანაკარგოდ აღებას. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი შეიტანონ თავიანთი წვლილი გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულების საქმეში.

კრებაზე აღინიშნა აჭარელ მეჩაიეთა დიდი შრომითი გამარჯვება. წლეულს მათ დაამზადეს 42.287 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი — გეგმაზე 5.085 ტონით მეტი. კარგად იშრომეს მეციტრუსეებმაც. მიუხედავად სუსხიანი ზამთრისა, რომელმაც სერიოზული ზარალი მიაყენა მეციტრუსეობას, ისინი დაამზადებენ სულ ცოტა 25 ათას ტონა ნაყოფს. მალე დაიწყება ციტრუსების კრეფა. საჭირო უდანაკარგოდ აიღონ მთელი მოსავალი. ამავე დროს უნდა გაძლიერდეს ბრძოლა სპეკულანტთა და გადამყიდველთა წინააღმდეგ. მიღებულია აგრეთვე თამბაქოს უხვი მოსავალი და წარმატებით მიმდინარეობს მისი დამზადება. სახელმწიფოს მიაყიდეს 2600 ტონა თამბაქოს ფოთოლს. კრებაზე ითქვა, რომ მიღებულია აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების კარგი მოსავალი.

გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში სოფლის მეურნეობის მშრომელებს ეხმარებიან შეფები — ბათუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

დიდი ამოცანები დგას აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე ხუთწლედის მესამე წელს. 1973 წელს მათ უნდა დაამზადონ 43 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, 45 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, აგრეთვე დიდძალი თამბაქო, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს მომავალი წლის მოსავალი.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის ეს დარგი შვილოვანი დარგი დღემდე არარენტაბელურია. ამის ერთერთი მთავარი მიზეზია ის, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ეფარებიან ნედლეულის სათანადო ზომებს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების საქმეს. საჭიროა წარმოებულ იქნას ამ რაოდენობის ბოსტნეული და კარტოფილი, რომ რესპუბლიკას შეეძლოს თვითონვე დააკმაყოფილოს თავისი ქალაქებისა და კურორტების ფართო ქსელის მოთხოვნილებანი.

აქტივის კრებაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ვაჭრობისა და დამზადების ორგანიზაციებში კადრების შერჩევის დარგში დაშვებულია ... [illegible] ... ნაკლოვანებანი, რომ ... [illegible] ... ეფუძნება გამოსწორდეს.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნულია, რომ აჭარელი კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან თავდადებული შრომით უზარმაზარ ... [illegible] ... ლობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების წარმატებით შესრულება, მოიპოვონ ახალი წარმატებანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ახალგაზრდობა — ხუთწლედს

საბარიჯოს მეფრინველეობის ფაბრიკა ერთ-ერთი უმსხვილესია რესპუბლიკაში. აქ ერთდროულად 420 ათასი ფრთა ქათამია. აქედან 138 ათასი კვერცხისმდებელია. შრომატევადი სამუშაოების უმრავლესობა მექანიზებულია.

ფაბრიკაში ყველა მნიშვნელოვანი წამოწყების ავანგარდში ახალგაზრდობაა. გეგმებისა და ვალდებულებების შესრულებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ კომკავშირელებს, სპეციალისტებს, ახალგაზრდა მეფრინველეებს. სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავად აღსანიშნავად ხაგარეჯოელი მეფრინველეები პირობას დებენ წელს სახელმწიფოს გეგმაზე 1 მილიონით მეტი — 17 მილიონი ცალი კვერცხი მისცენ.

სურათზე: ფაბრიკის მოწინავე მეფრინველე, კომკავშირელი ეთერ ყუშიტაშვილი.

ს. თევზაძისა და ი. დავითაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სამართლებრივი ცოდნა — ყველას

მესტიის. (საკ. კორ.). პარტიის მესტიის რაიკომის ბიუროს განხილა საკითხი რაიონში სამართალმცოდნეობის პროპაგანდის მდგომარეობისა და მისი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

ბიუროს სხდომაზე ითქვა, რომ, ხელმძღვანელობენ რა სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული, კომკავშირული და იდეოლოგიური ორგანოები მოსახლეობაში სამართლებრივი ცოდნის პროპაგანდისა და მშრომელთა სამართლებრივი კულტურის დონის ასამაღლებლად მნიშვნელოვან ნაბიჯებს ეწევიან. ამის შედეგად მიმდინარე წლის 8 თვეში, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, სისხლის სამართლის დანაშაული მნიშვნელოვნად შემცირდა.

მესახლეობის სამართლებრივი აღზრდისათვის გამოყენებულია ლექციები, მოხსენებები, კითხვა-პასუხის საღამოები, პრესა, ადგილობრივი რადიოგადაცემა და სხვ.

სასამართლო-პროკურატურის და შინაგან საქმეთა განყოფილების მუშაკებმა მიერ წელს ჩატარებულია სამართლის საკითხებზე 30 ლექციო-მოხსენება და კითხვა-პასუხის საღამოები მესტიასა და ხაიშში. საზოგადოებრივი წესრიგის და სოციალისტური კანონიერების დაცვის საკითხებზე ჩატარდა სოფლის ყრილობები ხაიშში, ჭუბერში, ლატალში, იფარში, კალაში და უშგულში. ყრილობების მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

მაგრამ, როგორც რაიკომის ბიუროზე აღინიშნა, ეს ღონისძიებები ჯერ კიდევ საკმარისი არ არის. ბიუროს მიიღო დადგენილება ამ დარგში არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ეპჭარეთ ბაკურიანი

6 ელს საბჭოთა ხალხი და მისი შვილიერებული ძალები ოცდამეთვრამეტე აღნიშნავენ თავიანთ ისტორიულ გამარჯვებას ფაშისტური გერმანიის ურდოებზე კავკასიონის უღელტეხილსა და მის მისადგომებთან.

ამ დიდ სახალხო ომში ერთმანეთის მხარდამხარ თავგანწირვით იბრძოდნენ ჩვენი საერთო სამშობლოს ყველა ერის შვილები. ომის გამოცხადების პირველი დღიდანვე მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების მშრომელები კიდევ უფრო მჭიდროდ დაირაზმნენ სოციალისტური დროშის ქვეშ და კომუნისტური პარტიის წინამძღოლობით სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა გაუმართეს ფაშისტ გერმანელ ავაზაკებს. სხვა ერებთან ერთად დიდი წვლილი შეიტანა სოციალისტური სამშობლოს დაცვაში ქართველმა ხალხმაც.

1942 წელს, როდესაც ჩვენი სამშობლო დიდი საფრთხის წინაშე იდგა, საქართველოს მშრომელებმა 231 თვითმფრინავი შეიძინეს საკუთარი სახსრებით და ჩვენი ქვეყნის სახელოვან შვიდრაზმებს გაუგზავნეს.

დიდია ქართველი ხალხის წვლილი კავკასიაში მოსახლე სხვა მოძმე ერებთან ერთად გერმანელ ფაშისტ დამპყრობთაგან კავკასიის „გმირულ დაცვაში. ამ ბრძოლებში ერთხელ კიდევ მკაფიოდ გამოვლინდა ჩვენი ხალხის ბაღალი პატრიოტიზმი და დამპყრობლებისადმი ქედმოუხრელობა.

1942 წლის ივლისის მიწურულს ჩვენი ჯარების მდგომარეობა სამხრეთი მიმართულებით მეტად მძიმე შეიქმნა. ისარგებლა რა ამით, ფაშისტური გერმანიის სარდლობამ სტალინგრადზე შეტევასთან ერთად კავკასიის მიმართულებითაც განსხვრეცილა დარტყმა. ფაშისტები უახლოეს ამოცანად ისახავდნენ ჩრდილოეთ კავკასიაში მოქმედი ჯარების ალყაში მოქცევას და მათს სრულ განადგურებას. შემდეგ ოკუპანტების ერთი ჯგუფი უნდა გაჭრილიყო ნოვოროსიისკისკენ და ნავი ზღვის სანაპიროზე განეკეთარებინა შეტევითი მოქმედება.

ოკუპანტების მეორე ჯგუფება, უმეტესად სატანკო და მოტორიზებული, მიზნად ისახავდა ჩრდილოეთ კავკასიის თავლუშენი ველების გავლით გროზნოსა და მახაჩკალის მიმართულებით გაჭრას, რათა ერთი დარტყმით მოეგწყვიტა თავის კლანჭებს ბაკო და ხელთ იგდო მისი უზარმაზარი საწვავი მარაგი.

ფაშისტური გერმანიის სარდლობას არც ჰალარა კავკასიონის მთები დაეიწყებია. მან განიზრახა გადალახა კავკასიონის ქედი და დაეპყრო საქართველო.

1942 წლის ივლისის პირველ რიცხვებში 46-ე არმიის სარდლობას სპეციალური ბრძანებით დაეკალა საიმედოდ დაეკავა კავკასიონის ქედის ცენტრალური ნაწილის ყველა უღელტეხილი, მაგრამ ამ არმიის სარდლობამ სათანადოდ ვერ შეაფასა მოახლოებული საშიშროება, მან კავკასიონის ქედი მჭრისათვის მიუუალ ციხე-სიმაგრედ მიიჩნია და მხოლოდ იმით დაკმაყოფილდა, რომ ცუდად შეიარაღებული მცირე ნაწილები და დანაყოფები გაგზავნა გადასასვლელებზე. მთავარი ყურადღება კი შავი ზღვისპირეთისაკენ იყო წარმართული. მტერმა დარტყმა კავკასიონის ქედის ცენტრალური მიმართულებითაც განავითარა და ხელთ იგდო ზოგიერთი უღელტეხილი. კავკასიონის ქედზე შავი ღრუბელი ჩამოწვა.

ამიერკავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭომ სასწრაფოდ განახორციელა დამატებითი ღონისძიებანი — პირველ რიგში შეეკავა 46-ე არმიის სარდლობა. არმიის სარდლად დაადგინეს სახელმოხვეჭილი გენერალი კონსტანტინე ლესელიძე, არმიის შტაბის უფროსად — გენერალი მიხეილ მიქაძე.

ჩამოყალიბდა ახალი ნაწილები და შენაერთები და სასწრაფოდ გაიგზავნა ისინი უმნიშვნელოვანესი მიმართულებით. ახლად შექმნილი 242-ე სამთო მსროლელი დივიზია გაიგზავნა ზემო სვანეთის უღელტეხილების დასაკავებად, ხოლო 332-ე ქართული დივიზია — ჩრდილოეთ კავკასიაში. შეიქმნა თანამედროვე საბრძოლო იარაღებით და საჭმელეთი შეიარაღებული რამდენიმე ალპური რაზმი.

მტერმა კავკასიონისაკენ გადმოიროლა ბილეამდე შეიარაღებული რამდენიმე დივიზია, ხელთ იგდო ზოგიერთი უღელტეხილი. სამშვიდობო დღითიდღე იზრდებოდა. ამიერკავკასიის „ფრონტი, ეკრძოდ, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით პირნათლად მოიხადეს ვალი სამშობლოს წინაშე და ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ ამაყი კავკასიონის ჭაღარა მთაგრეხილთან მოესპოთ ფაშიზმი.

პარტიის მოწოდების პასუხად ათასობით მშრომელი — ქალი და კაცი — საქართველოს ყველა რაიონიდან წავიდა ზემო სვანეთის, მარუხის, ქლუხორისა და სხვა მიმართულებებით და დღედაღამ შეუსვენებლად მონაწილეობდა შარაგზებისა და ხიდების შეკეთებაში, საპატრონ მოედნებისა და სხვადასხვა ბაზების მშენებლობაში, რითაც ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა მაღალმთიან რაიონებში მოქმედ ჯარებს. ჩამოყალიბდა სვანთა რაზმი, რომელმაც დაუფასებელი ამაგი დასდო 242-ე სამთო მსროლელ დივიზიას.

ფაშისტური გერმანიის სარდლობის მიერ შეკოწყვეტულმა კავკასიისა და ამიერკავკასიის დაპყრობის გეგმამ სამარცხვინო მარცხი განიცადა. მტერმა ვერ შეძლო კავკასიის ქედის შემოვლა ვერც დასავლეთიდან და ვერც აღმოსავლეთიდან. უარესი ბედი ეწია მის უფროსურ განშტოებას ჩრდილოეთიდან გადმოეფლახა კავკასიონის ქედი. ფაშისტმა ავანტიურმა ვერ იხილეს ვერც ბაკოს ნავთი, ვერც საქართველოს მარგანეცი.

საქართველომ ასიათასობით მოწინავე და სამშობლოსათვის თავდადებული ადამიანი მისცა ფრონტს. კავშავნილოთა შორის იყვნენ არა მარტო რიგითი მებრძოლები და ოფიცრები, არამედ სხვადასხვა დარგის ისეთი სპეციალისტებიც, როგორიც არიან ინჟინრები, ქიმიკოსები, კონტრუქტორები, ექიმები, პედაგოგები, მწერლები და სხვ.

ქართველმა ხალხმა მრავალ ბრძოლაში გამობრძმედილ საბჭოთა არმიას მისცა ბევრი თვალსაჩინო სამხედრო მოღვაწე, რომლებმაც დიდი ოსტატობა და უნარი გამოიჩინეს ჯარის ნაწილებისა და შენაერთების სულმძღვანელობის საქმეში. ათობით ქართველი გენერალი და ოფიცერი დიდი სამამულო ომის წლებში აქტიურ მონაწილეობას იღებდა გერმანელ ფაშისტთა განადგურებაში ბარენცის ზღვიდან შავ ზღვამდე, ლენინგრადთან და მოსკოვთან, სტალინგრადთან და კურსკთან, როსტოვთან და კიევთან, სმოლენსკთან და ოდესასთან და სხვ. მომაყვს ზოგიერთი მხედართუფროსის გმირობა:

სახელმოხვეჭილი საბჭოთა კავშირის გმირი გენერალ-პოლკოვნიკი მიხა დამზადება. სახელმწიფოს მიაყიდეს 2600 ტონა თამბაქოს ფოთოლს. კრებაზე ითქვა, რომ მიღებულია აგრეთვე სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქტების კარგი მოსავალი.

გეგმებისა და სოციალისტური ვალდებულებების წარმატებით შესრულებაში სოფლის მეურნეობის მშრომელებს ეხმარებიან შეფები — ბათუმის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივები.

დიდი ამოცანები დგას აჭარის სოფლის მეურნეობის მშრომელთა წინაშე ხუთწლედის მესამე წელს. 1973 წელს მათ უნდა დაამზადონ 43 ათასი ტონა ჩაის ნედლეული, 45 ათასი ტონა ციტრუსოვანთა ნაყოფი, აგრეთვე დიდძალი თამბაქო, კარტოფილი, ბოსტნეული, ხილი.

მოხსენებასა და გამოსვლებში ხაზგასმით აღინიშნა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტთა წარმოების გადიდების დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის საჭიროა საფუძველი ჩაეყაროს მომავალი წლის მოსავალი.

პარტიული აქტივის კრების მონაწილეებმა აღნიშნეს ჩამორჩენა მეცხოველეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის ეს დარგი შვილოვანი დარგი დღემდე არარენტაბელურია. ამის ერთერთი მთავარი მიზეზია ის, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები არ ეფარებიან ნედლეულის სათანადო ზომებს პირუტყვისათვის მტკიცე საკვები ბაზის შესაქმნელად. სათანადო ყურადღება არ ექცევა აგრეთვე ბოსტნეულისა და კარტოფილის წარმოებისა და დამზადების საქმეს. საჭიროა წარმოებულ იქნას ამ რაოდენობის ბოსტნეული და კარტოფილი, რომ რესპუბლიკას შეეძლოს თვითონვე დააკმაყოფილოს თავისი ქალაქებისა და კურორტების ფართო ქსელის მოთხოვნილებანი.

აქტივის კრებაზე აღინიშნა აგრეთვე, რომ ვაჭრობისა და დამზადების ორგანიზაციებში კადრების შერჩევის დარგში დაშვებულია ... [illegible] ... ნაკლოვანებანი, რომ ... [illegible] ... ეფუძნება გამოსწორდეს.

კრებაზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა შ. ჭანუყვაძემ.

მიღებულ რეზოლუციაში აღინიშნულია, რომ აჭარელი კომუნისტები, ყველა მშრომელი მზად არიან თავდადებული შრომით უზარმაზარ ... [illegible] ... ლობის გადაწყვეტილებების, მეცხრე ხუთწლედის მეორე წლის გეგმების წარმატებით შესრულება, მოიპოვონ ახალი წარმატებანი სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში.

მრისხანე კავკასიონთან

კავკასიის მისადგომებთან ბრძოლის 30 წლისთავის გამო

კონსტანტინე ლესელიძე, კავკასიის აქტიური დამცველი.

1942 წლის აგვისტო. კავკასიის უღელტეხილებზე შავი ღრუბელი წამოწვა. ფაშისტთა ურდოები კავკასიონის ქედზე შემოძვრნენ. ამიერკავკასიის განადგურებით ემუქრებოდნენ. სწორედ ასეთ დროს — 28 აგვისტოს უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით კონსტანტინე ლესელიძე დაინიშნა 46-ე არმიის სარდლად, რომელსაც დაეკალა შეეჩერებინა მტერი უღელტეხილებზე, მოეშალებინა კონტრშეტევაზე გადასვლა და მძლავრი დარტყმით მათი განადგურება.

ნიჭიერმა და უნარიანმა მხედართმთავარმა უღელტეხილების ოკუპაციის დაგეგმა, რომ გათავისუფლებინა ბრძოლიდან მოსალოდნელი ყველა წვრილმანიც კი, ჯარების ურთიერთმოქმედება სანიშნოდ მოაწყო, საბრძოლო ამოცანა კარგად ესმოდა თვითეული მებრძოლს. რამდენიმე დღეღამის განუწყვეტელი ბრძოლების შედეგად 46-ე არმიამ ჰიტლერელებს მრავალი მწარე დარტყმა აგება, დიდი ზიანი მიაყენა. გენერალ ლესელიძის არმიამ ოსტატურად ჩაატარა უდიდესი მნიშვნელობის ოპერაციე, „განადგურა მტრის ჯარები ცენტრალურ უღელტეხილებზე. ვინც გადაურჩა ჩვენი ჯარების დარტყმას, ისინი მთის გადალმა გადარეკეს.

ამ ოპერაციისადმი საუკეთესო ხელმძღვანელობისათვის და უმაღლესი მთავარსარდლის დავალებათა დროულად და ზედმიწევნით კარგად შესრულებისათვის სსრ კავშირის საბალსო კომისარმა საბჭოს 1942 წლის 14 ოქტომბრის დადგენილებით კონსტანტინე ლესელიძეს მორიგი სამხედრო ჩინი — გენერალ-ლეიტენანტის წოდება მიენიჭა. ამავე დროს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით დაჯილდოებულ იქნა ლენინის ორდენით.

კონსტანტინე ლესელიძე უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებით ინიშნება 47-ე არმიის სარდლად. ეს არმია ამიერკავკასიის ფრონტის შავიზღვისპირეთის ჯგუფში შედიოდა. ლესელიძის მოქნილი, უნარიანი ხელმძღვანელობით ამ არმიამ არაერთი დაძაბული ბრძოლა გადაიხადა ტუაფსეს ... [illegible] ... ბრძოლებში, რისთვისაც ლესელიძე ლაჯაჯიდან ... [illegible] ... ორდენით.

მრავალი საგმირო საბრძოლო ოპერაციების განხორციელების აქტიური მონაწილენი არიან ... [illegible] ... ბი კონტრ-ადმირალი მიხეილ ჯინჭარაძე, სერგო კაპანაძე, კონსტანტინე სუბიანშვილი და გეგრავა-ლეონტენანტი არჩილ გელოვანი.

ყველაზე წლები და საუკუნეები, მაგრამ საბჭოთა ხალხი არასოდეს არ დავიწყებს ოდესის და ნიკოლაევის, ოჩაკოვისა და ხერსონის, სევასტოპოლის და იალტის, ქერჩისა და ნოვოროსიისკის, გელენჯიკისა და ტუაფსეს დაცვის დიდებით მოსილ ისტორიას დიდი სამამულო ომის მატიანეში.

ჩრდილოეთ კავკასიის, ისე როგორც ამიერკავკასიის და კერძოდ მზიური საქართველოს დაცვაში, შომძე კავკასიის ერებთან ერთად, ამიერკავკასიის ფრონტის ჯარების მხარდამხარ სიცოცხლის დაუზოგავად იბრძოდა გერმანელთა ურდოების წინააღმდეგ 60-ზე მეტი ქართველი მხედართუფროსი-პოლკოვნიკები.

აი ზოგიერთი მათგანი: ივანე ქანთარია, დივიზიის მეთაური, რომლის ხელმძღვანელობით ამ დივიზიამ მარუხისა და ქლუხორის უღელტეხილებზე პიტლერელებს თავზარდაცემი დარტყმები აგება. იგი მამაცურად იბრძოდა ჩრდილოეთ კავკასიის ფართო ველებზე, ბრძოლით გაიარა უკრაინის და ლიტვის ტერიტორია. ი. ქანთარიას ხელმძღვანელობით დივიზია გერმანიის ბევრი დასახლებული პუნქტის აღების აქტიური მონაწილეა. ბერლინის შტურმის დროს იგი გმირულად დაეკვა ბრძოლის ველზე. მისი ნეშტი დაკრძალულია ქალაქ ლვოვში.

დივიზიის სამხედრო კომისარმა კონსტანტინე სოხაძემ ბევრი სასახელო საბრძოლო ფურცელი ჩაწერა დიდი სამამულო ომის მატიანეში. მან განსაკუთრებით ისახელა თავი ყაბარდო-ბალყარეთის ტერიტორიაზე გაჩაღებულ სუსხლოსმღვრელ ბრძოლებში, კარპატებში და ჩეხოსლოვაკიაში. პრაღის შტურმში, რომელიც განხორციელდა 1945 წლის 8 მაისს, კონსტანტინე სოხაძის დივიზია მუსრს ავლებდა გერმანელ ბარბაროსებს.

ბევრი თვალსაჩინო ოპერაციის განხორციელების აქტიური მონაწილენი არიან დივიზიის კომისრები ომარ მუსერიძე, გიორგი ჩარგეშვილი და გიორგი ოჯრობელაშვილი, დივიზიის პოლიტიკური განყოფილების უფროსები ვარლამ ჯანჯღავა და გენადი ლაბაძე, რომლებმაც მაღალმთიან რაიონებში ბრძოლის ეშვიათი ნიმუშები გვიჩვენეს.

ასობით და ათასობით ტონა გამხურებული ლითონი თავზე დაყარეს ფაშისტ

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადება

ჰანოი. 27 ოქტომბერი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ გამოაქვეყნა განცხადება ვიეტნამის პრობლემის შესახებ მოლაპარაკებაზე საქმის ახლანდელი მდგომარეობის შესახებ.

ამ ბოლო ოთხი წლის მანძილზე მამაცმა და ქედუხრელმა ვიეტნამელმა ხალხმა, ნათქვამია განცხადებაში, გააძლიერა სამართლიანი ბრძოლა სამხედრო პოლიტიკური და დიპლომატიური ფრონტებზე, მოიპოვა უპრეცედენტო გამარჯვებანი, განსაკუთრებით 1972 წლის გაზაფხულდან დღემდე, და ამგვარად, სეროიზულად დაამარცხა ომის „ვიეტსამიზაციის“ პოლიტიკა.

ამავე დროს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, ნათქვამია შემდეგ განცხადებაში, შედამ იჩენდა სერიოზულ მიდგომასა და კეთილ ნებას, რათა მიეღწია ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრისათვის ვიეტნამელი ხალხის ძირეული ეროვნული უფლებებისა და სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლების უზრუნველყოფის საფუძველზე.

სამხრეთ ვიეტნამის რესპუბლიკის დროებითი რევოლუციური მთავრობის სრული თანხმობით, აღნიშნულია განცხადებაში, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა აწყობდა კონფიდენციალურ შეხვედრებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობასთან ვიეტნამის პრობლემის მშვიდობიანი გადაჭრის მიზნით.

1972 წლის 8 ოქტომბერს კონფიდენციალურ შეხვედრაზე ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხარემ წამოაყენა პროექტი „შეთანხმებისა ვიეტნამში ომის შეწყვეტის და მშვიდობის აღდგენის შესახებ“, ამ ინიციატივის მეოხებით მოლაპარაკება ვიეტნამის პრობლემაზე, რომელიც უკვე ოთხი წელია გრძელდებოდა, დაადგა გადაწყვეტილების მიღების გზას. თავად ამერიკის მხარემ, აღნიშნულია განცხადებაში, აღიარა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პროექტი „შეთანხმებისა ვიეტნამში ომის შეწყვეტის და მშვიდობის აღდგენის შესახებ“ ნამდვილად დიდმნიშვნელოვანი და ფუნდამენტური დოკუმენტია, რომელიც სახავს პრობლემის სწრაფი მოწესრიგების გზას.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის განცხადებაში მოყვანილია შეთანხმების ძირითადი პუნქტები, რომლებიც ვიეტნამისა და ამერიკის მხარეებმა შეთანხმეს 22 ოქტომბერს. ეს შეთანხმება ითვალისწინებს, რომ ვიეტნამის პრობლემა გადაიჭრება ორ ეტაპად: პირველი ეტაპი შეიცავს ვიეტნამის ომის შეწყვეტას, ცეცხლის შეწყვეტას სამხრეთ ვიეტნამში, ამერიკის შეერთებული შტატების უარს სამხედრო ვალდებულებებზე სამხრეთ ვიეტნამში და შეთანხმებას სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის თვითგამორკვევის უფლების განხორციელების პრინციპების შესახებ; მეორე ეტაპის დროს სამხრეთ ვიეტნამის ორი მხარე ერთად გადაჭრის სამხრეთ ვიეტნამის საშინაო პრობლემებს.

შემდეგ განცხადებაში აღნიშნულია: მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ 1972 წლის 23 ოქტომბერს შეერთებული შტატები შეწყვეტს დაბომბვას და დანაღმვას ჩრდილოეთ ვიეტნამში, 24 ოქტომბერს ორივე მხარე მოახდენს შეთანხმების ტექსტის პარაფირებას ჰანოიში და 1972 წლის 31 ოქტომბერს ორივე ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრები ოფიციალურად მოაწერენ ხელს შეთანხმებაზე პარიზში. სავსებით ცხადია, აღნიშნულია განცხადებაში, რომ ორივე მხარემ მიაღწია შეთანხმებას, რომელსაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს და შეესაბამება ვიეტნამის, ამერიკის შეერთებული შტატების და მთელი მსოფლიოს ხალხთა მისწრაფებებს.

მაგრამ, თავისი ვალდებულებების მიუხედავად, ამერიკის მხარემ 23 ოქტომბერს მოიმიზეზა სიძნელეები, რომლესაც ივი წაწყდა საიგონში, ნათქვამია განცხადებაში. ამერიკის მხარის ასეთმა საქციელმა შექმნა მეტად სერიოზული მდგომარეობა, რომელიც კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს „ვიეტნამში ომის შეწყვეტისა და მშვიდობის აღდგენის შეთანხმების“ ხელმოწერას.

ეგრეთწოდებული სიძნელეები საიგონში, აღნიშნულია განცხადებაში, მხოლოდ და მხოლოდ საბაბია, რომ შეაფერხონ ამერიკის ვალდებულებათა შესრულება.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა მოლაპარაკების გაჭიანურებისათვის პასუხისმგებლობას აკისრებს ამერიკის მხარეს და თავის მხრივ აცხადებს, რომ ზუსტად ასრულებს ვალდებულებებს, რომელთა გამო მიღწეულია შეთანხმება ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის, და რომელთა შესაბამისად არ უნდა შეიცვალოს შეთანხმების დამტკიცებული ტექსტი და შეთანხმების ხელმოწერისათვის დასახული თარიღი — 1972 წლის 31 ოქტომბერი.

ერთიანი პიბლიკეთეკა

„ვიეტნამ“ გადაარჩინეს

რომი. 27 ოქტომბერი. (საკდესი). ამა წლის დამლევს მიქელანჯელოს ცნობილი ხელოვნებისმცოდნეობითი ჯგუფი „ერიხტეტი ტირილი“ ანუ „პიეტა“, რომელიც ძლიერ დაზიანდა ამ გაზაფხულზე ჰკუალაკარგული დამთვალიერებლის ჩაქუჩის დარტყმით, კვლავ დაიკავებს თავის ადგილს ვატიკანის წმინდა პეტრეს ტაძარში.

ეს აცნობა უურნალისტებს ვატიკანის მუზეუმების დირექტორმა რ. დე კამპოსმა, რომელმაც მათ უამბო როგორ მიმდინარეობს სარესტავრაციო სამუშაოები. მისი თქმით, სპეციალისტები შეძლებენ „გაწყურნონ“ აღორძინების ეპოქის დიდი ოსტატის შედევრი ისე სრულყოფილად, რომ დაზიანება პრაქტიკულად არ შეიმჩნევა.

რესტავრატორებს მოუხდათ დიდი სიძნელეების გადალახვა, განსაკუთრებით ღვთისმშობლის სახის აღდგენაში, რომელიც განსაკუთრებული ნატიფი შესრულებით გამოირჩევა.

რესტავრატორებს მუშაობაში დახმარებას უწევს „პიეტას“ ზუსტი თანამედროვის პირი, რომელიც გაკეთებულია დაახლოებით სამი ათეული წლის წინათ.

სარესტავრაციო სამუშაოების დამთავრების შემდეგ „პიეტას“ კვლავ დადგამენ უწინდელ ადგილას წმინდა პეტრეს ტაძარში, მაგრამ ამერიდან ივი დაცვის მიზნით ტყვიაგაუმტარი მინის სქელი ფარცლით იქნება გადატიხრული ხალხისაგან. გარდა ამისა, მოიწყობა განგამის სიგნალების სისტემა ფოტოელემენტების გამოყენების საფუძველზე.

კვლავ ეძებენ

ნიუ-იორკი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). გაძლიერებული ძებნის მიუხედავად, დღემდე ვერ აღმოაჩინეს ორმოტორიანი თვითმფრინავი, რომელიც 16 ოქტომბერს დაიკარგა ჭექა-ქუხილის დროს ქალაქ ანკორიჯის (ალასკის შტატი) რაიონში.

თვითმფრინავში იმყოფებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული უმრავლესობის ლიდერი ჰეილ ბოგსი, კონგრესმენი ალასკის შტატისაგან ნიკ ბეგიჩი და სხვა პირები.

ომის ნაფთი

პარიზი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). პირველი მსოფლიო ომის დროინდელი გერმანული უუმბარების საწყობი აღმოაჩინეს ტყეში საფრანგეთის ქალაქ ქსონვილის (მერტისა და მოზელის დეპარტამენტი) მახლობლად.

ნაპოვნი უუმბარების საერთო წონაა დაახლოებით ათი ტონა. საწყობი შეუქმნიათ, როცა უტევდნენ ვერდენს, რომელიც მდებარეობს ორმოც კილომეტრზე ქსონვილიდან.

უჩვეულო სიცხე

ბეირუთი, 27 ოქტომბერი. (საკდესი). ცხელი ჰაერის ნაკადებმა, რომლებიც ლიბანში მოვიდა ეგვიპტისა და ლიბიის უდაბნოებიდან, რბილი კლიმატის მქონე ხმელთაშუა ზღვის ამ პატარა ქალაქში ოქტომბრისათვის არნახული სიცხე გამოიწვიეს. თერმომეტრის სვეტი 40 გრადუსზე მეტს უჩვენებს.

ლიბანის მთელ რიგ რაიონებში სიცხის გამო გაჩნდა ხანძარი. 40 ათას კვადრატულ მეტრზე მეტ ტერიტორიაზე იწვის ტყეებმა დიდი მატერიალური ზარალი მოჰყვა. საფრთხე შეუქმნა რამდენიმე სოფლის მცხოვრებლებს. ხანძრის ჩასაქრობად გაგზავნეს ლიბანის არმიის ქვეგანყოფილება.

ლიდი ზარალი

კანბერა, 27 ოქტომბერი. (საკდესი). 16 კაცი დაიღუპა, 8 ათასი უსახლკაროდ დარჩა — ასეთია უკანასკნელი ოცი წლის მანძილზე იმ უძლიერესი გრიგალის შედეგები, რომელიც ამ დღეებში თავს დაატყდა ფიჯის კუნძულებს.

როგორც სუვიდან იტყობინებიან, ამ სტიქიური უბედურების შედეგად დიდი ზარალი მოუვიდა სახელმწიფო-სამეურნეო ნათესებს, დაირღვა კომუნიკაცია.

მიწისძვრა ფეიცარიაში

ჟენევა, 27 ოქტომბერი. (საკდესი). წუხელ შვეიცარიაში მოხდა საკმაოდ ძლიერი მიწისძვრა. შვეიცარიის სეისმოლოგიური სამსახურის მონაცემების თანახმად მიწისძვრის ეპიცენტრი მდებარეობდა რაიონში, რომელიც ციურიხის სამხრეთით 300 კილომეტრზეა. მიწისქვეშა ბიძგები იგრძნობოდა ქვეყნის ყველა რაიონში.

სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავისათვის

ახალი ფიპის ურთიერთობა

6 წელს მთელი პროგრესული კაცობრიობა აღნიშნავს სსრ კავშირის ნახევარი საუკუნის იუბილეს. სსრ კავშირის შექმნას თავისი პოლიტიკური მნიშვნელობითა და სოციალურ-ეკონომიური შედეგებით უდიდესი საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს.

1922 წლის 30 დეკემბერს კაცობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა ახალი ტიპის მრავალეროვანი სახელმწიფო, რომელსაც საფუძვლად დაედო საერთაშორისო პროლეტარული სოლიდარობის, ხალხთა თანასწორუფლებიანობისა და ერთა თვითგამორკვევის უფლების პრინციპები. საბჭოთა კავშირის 50 წლის გამოცდილებამ თვალნათლივ გვიჩვენა, თუ რა გიგანტური პოტენციური შესაძლებლობანია ჩაქსოვილი კომუნისტური იდეალებით შთაგონებულ ხალხთა ძმურ თანამშრომლობაში.

საბჭოთა ხალხის მიერ ერთა შორის ურთიერთობის პრობლემის წარმატებით გადაჭრას განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიოს სოციალისტური სისტემის შექმნისათვის, სახელმწიფოთა სოციალისტური თანამეგობრობის ფარგლებში ხალხთა შორის მჭიდრო თანამშრომლობის განვითარებისათვის.

იმ რუსპუბლიკების ერთობლივი სახალხო-სამეურნეო მშენებლობა, რომლებმაც სსრ კავშირი შექმნეს, ისტორიულად სოციალიზმის ბაზაზე სხვადასხვა ხალხის სამეურნეო ურთიერთობის გაერთიანების პირველი გამოცდილება იყო. ასეთმა გაერთიანებამ შესაძლებლობა მოგვცა მოკლე ისტორიულ ვადაში დაგვეძლია იმ ჩვენი რუსპუბლიკების სოციალურ-ეკონომიური ჩამორჩენილობა, რომლებიც მეფის რუსეთის ნახევარკოლონიები იყვნენ და სადაც რევოლუციამდე ჯერ კიდევ ბატონობდა ფეოდალური, ზოგან კი თემურ-ვვაროვნული წყობილება. მათ მიერ ნახევარი საუკუნის მანძილზე მიღწეული წარმატებანი საყოველთაოდ ცნობილია. ეს წარმატებანი შედეგია ლენინური ეროვნული პროგრამის განხორციელებისა, რომლის უმნიშვნელოვანესი მიზანი იყო წარსულისაგან მემკვიდრეობად მიღებული ერთა ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაცია.

სსრ კავშირის ეს ისტორიული კაცობრიობის ისტორიაში პირველად ჩამოყალიბდა ახალი ტიპის მრავალეროვანი სოციალისტური ეკონომიური ურთიერთობანი, ეროვნული ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნებში, ფაქტიური უთანასწორობის ლიკვიდაციის პრობლემის გადაჭრაში უკვე მიღწეულია დიდი პროგრესი. უკანასკნელი ორი ათეული წლის მანძილზე ის ქვეყნები, რომლებმაც კაპიტალისტური წარსულისაგან მემკვიდრეობად მიიღეს უმეტესი ეკონომიური ჩამორჩენილობა, — ბულგარეთი და რუმინეთი, — სამრეწველო წარმოების მოცულობას გაციცებით სწრაფად ადიდებდნენ, ვიდრე ისეთი უფრო განვითარებული ქვეყნები, როგორიც ჩეხოსლოვაკიაა. არსებითი უპირატესობით იზრდებოდა მონაღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მრეწველობაც. თუ 1950 წელს სამრეწველო პროდუქციის მოცულობა ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით შედგენდა ბულგარეთში ჩეხოსლოვაკიის სამრეწველო პროდუქციის მოცულობის დაახლოებით მესამედს, ხოლო რუმინეთში — მეოთხედზე ნაკლებს, ამჟამად ბულგარეთში ერთ სულ მოსახლეზე იწარმოება ჩეხოსლოვაკიის დემოკრატიული რესპუბლიკის ერთ სულ მოსახლეზე სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობის ნახევარზე მეტი, რუმინეთში კი თითქმის ორი მეხუთედი. მიმდინარეობს ხუთწლეულში დონეების კიდევ უფრო დაუახლოვდება ერთმანეთს.

ორივე ამ ქვეყანამ — ბულგარეთმა და რუმინეთმა, — რომლებიც წინათ კაპიტალისტური ევროპის ჩამორჩენილი აგრარული განაპირა მხარეები იყვნენ, შექმნეს თავიანთი ეროვნული ინდუსტრია, ბევრად გაადიდეს სამრეწველო წარმოების მოცულობა. მაგალითად, ბულგარეთში მრეწველობის პროდუქციის მოცულობა ომისწინა 1939 წელთან შედარებით 39-ჯერ გაიზარდა. თუ რევოლუციამდე ეს ქვეყანა, რომელსაც „ევროპის ბოსტანს“ უწოდებდნენ, საგარეო ბაზარს აწვდიდა მხოლოდ სოფლის მეურნეობის პროდუქციას, „ახლა მისი ექსპორტის 60 პროცენტს სამრეწველო ნაწარმი შადგენს.

ახლა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნებისათვის დაიწყო ახალი ეტაპი — სოციალისტური ეკონომიური ინტეგრაციის ეტაპი. ეს დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯია იმ გზაზე, რომ ზორცი შეისხას ლენინის იდეამ სოციალიზმის დროს სამეურნეო ურთიერთობის ინტერნაციონალიზაციის შესახებ, სოციალისტურ ერთა დაახლოებისა და სოციალისტური წარმოების საერთაშორისო მასშტაბით გეგმაზომიერი ორგანიზაციის შესახებ.

ზარშან მიღებული სოციალისტური ინტეგრაციის კომპლექსური პროგრამა უკვე ხორციელდება და უხვ ნაყოფს იძლევა. ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს 26-ე სესიაზე გამოსულისას სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა თქვა: „კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის პირველი ნაბიჯები ერთხელ კიდევ ადასტურებენ სოციალისტური ტიპის საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის რეალურ უპირატესობებს. ფრიად დიდმნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სამეურნეო ურთიერთობის განმსაზღვრელი პრინციპი — სოციალისტური ინტერნაციონალიზმი — გადაიქცა ეროვნული დაგეგმვის „პრინციპად, რომ ჩვენს ეგეგმებში ასახულია ზრდა სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის კეთილდღეობისათვის“.

ეკონომიური ინტეგრაციის პრინციპების წარმატებით განხორციელებასთან ერთად მარქსისტულ-ლენინური პარტიები და სოციალისტური ქვეყნების მთავრობები დიდ ყურადღებას უთმობენ პოლიტიკური და სამხედრო კავშირის განმტკიცებას. ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაციაში გაერთიანებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები კოლექტიური ძალით აქტიურად იბრძვიან მტკიცე მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის, სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობის უფრო ხელშემწყობი პირობების უზრუნველყოფისათვის. ამასთანავე „სოციალისტურ სახელმწიფოთა ერთობლივ წინადადებანი და პოლიტიკური აქციები, — აღნიშნა სკკპ XXIV ყრილობამ, — დადებითის გაკეთებას ახდენენ მთელი საერთაშორისო მდგომარეობის განვითარებაზე“.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გაღრმავებისას არათუ შეიქმნა სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, არამედ დაიწყო აგრეთვე კოლონიური სისტემის მსხვრევის ობობქარი პროცესი. აზიაში, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაში წარმოიშვა ათობით ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელთაგან ზოგი დაადგა არაკაპიტალისტური განვითარების გზას. დღის წესრიგში დადგა სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებთან „მესამე სამყაროს“ ქვეყნების ურთიერთობის საკითხი.

ახალგაზრდა განვითარებადმა სახელმწიფოებმა სოციალისტური ქვეყნების სახით ბუნებრივი მოკავშირენი შეიძინეს იმპერიალიზმის წინააღმდეგ, ყველა ფორმის ნეოკოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლაში, კოლონიური ბატონობის ხანდან მემკვიდრეობად მიღებული ჩამორჩენილობის დაძლევისათვის ბრძოლაში. და ამ საფუძველზე მათ და სოციალისტურ ქვეყნებს შორის ყალიბდებოდა პრინციპულად ახალი სახასიათის ურთიერთობა, ანტიიმპერიალისტურ ბრძოლაში მოკავშირეთა ურთიერთობა. „ამ ურთიერთობის დამახასიათებელი ნიშანია, — წერდა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ე. გიერეკი, — ურთიერთსოლიდარობა იმპერიალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, მათი ძმური დახმარება და მხარდაჭერა“.

ამ ურთიერთობისათვის დამახასიათებელმა მეგობრობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთზეიმოსაყრელი თანამშრომლობის პრინციპებმა საერთაშორისო-სამართლებრივად შეისხეს ხორცი ხელშეკრულებებში, რომლებიც ბოლო წლებში დადო საბჭოთა კავშირმა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკასთან, ინდოეთის რესპუბლიკასთან, ერაყის რესპუბლიკასთან, ბანგლადეშის სახალხო რესპუბლიკასთან და ეროვნული დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარ სხვა სახელმწიფოებთან.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან მსოფლიო სოციალიზმის კავშირის განმტკიცებისათვის უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება იმ ყოველმხრივ დახმარებას, რომელსაც მომძლე სოციალისტური ქვეყნები უწევენ ინდოჩინეთის ხალხებს, ანგოლის, მოზამბიკის, ვვინეის (ბისაუს), ნამიბიისა და სხვა ქვეყნების თავისუფლებისათვის მებრძოლებს.

ამ კავშირის განმტკიცებაში დიდ როლს ასრულებს სოციალისტური ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობა „მესამე სამყაროს“ ქვეყნებთან, რომელიც განუწყვეტლივ ფართოვდება. ამჟამად ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ქვეყნები ეკონომიურად და ტექნიკურად უწყობენ ხელს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის თითქმის 60 განვითარებად სახელმწიფოს, მათი დახმარებით აშენდა და საოპერაციოდ გადაეცა 1200-ზე მეტი და კიდევ შენდება 800-მდე სამრეწველო და სხვა ობიექტი. 100 განვითარებადი ქვეყნის 12 ათასი მოქალაქე სწავლობს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მონაწილე სახელმწიფოთა უმაღლეს სასწავლებლებში.

„სრულიად უანგარო დახმარება, რომელსაც საბჭოთა კავშირი და სოციალისტური ბანაკის სხვა ქვეყნები უწევენ იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლ ხალხებს, მათ შორის არაბ ხალხებს, ხალხთა და ერთა შორის ახალი ტიპის ურთიერთობის ნიმუშია“, — განაცხადა ეგვიპტის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის გენერალურმა მდივანმა იუსეფ ეს-სიბპანმ.

სოციალისტური ბანაკის ქვეყნებისა და ახალგაზრდა დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამშრომლობა, რომელსაც საერთო ანტიიმპერიალისტური საფუძველი აქვს, ვითარდება პოლიტიკურ ასპარეზზეც და ავრცელის იმპერიალისტური პოლიტიკისადმი წინააღმდეგობის დიდმნიშვნელოვან ფაქტორს, ხალხთა თავისუფლების დაცვის ფაქტორს წარმოადგენს. ამის მაგალითი შეიძლება იყოს მათი სულ უფრო მტკიცე თანამშრომლობა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში. წავიდა ის დრო, როცა ეს საერთაშორისო ორგანიზაცია შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური სახელმწიფოების მორჩილი იარაღი იყო. ახალგაზრდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა გაზრდილი ხვედრითი წონა, მათი დიპლომატიური და პოლიტიკური თანამშრომლობა სოციალისტურ ქვეყნებთან აქაც, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სარბიელზე, საშუალებას იძლევა მოგებულ იქნეს არსებითი წარმატებანი მშვიდობისა და უშიშროებისათვის ბრძოლაში, საკადრისი პასუხი გავცეთ იმპერიალიზმის აგრესიულ ხრიკებს.

მძლავრი მრავალეროვანი საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ნახევარ საუკუნეს და სოციალისტური თანამეგობრობის არსებობის მეოთხედ საუკუნეს, სადაც ახალი სოციალისტური ტიპის საერთაშორისო ურთიერთობა ჩამოყალიბდა, არ შეიძლებოდა არსებითი გავლენა არ მოეხდინა მსოფლიო განვითარების მთელ პროცესზე. „სოციალისტური ქვეყნები, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირით მოქმედებენ, — თქვა თავის სიტყვაში პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის VI ყრილობაზე ლ. ი. ბრეჟნევმა, — აქტიური და სულ უფრო მზარდ გავლენას ახდენენ მსოფლიო მოვლენათა მსვლელობაზე“.

სოციალისტური თანამეგობრობის საგარეო პოლიტიკის განუყოფელი, ორგანული ნაწილია სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური კურსი. ახლა რეალურმა ობიექტურმა პირობებმა — ძალთა თანაფარდობის შეცვლამ სოციალიზმის, დემოკრატიისა და მშვიდობის სასარგებლოდ — გამოიწვია თვისებრივად ახალი ეტაპი, რომლისთვისაც დამახასიათებელია ის, რომ არა მარტო სოციალიზმის ქვეყნები აღიარებენ დაპირისპირებული სისტემების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის აუცილებლობას, არამედ კაპიტალიზმის ქვეყნებიც მივიდნენ ამ აუცილებლობის აღიარებამდე.

ამას ადასტურებენ, კერძოდ, სსრ კავშირისა და საფრანგეთის თანამშრომლობის პრინციპები, რომლებიც ხელმოწერილია შარშან ოქტომბერში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ი. ბრეჟნევის საფრანგეთში ვიზიტის დროს. ამასვე მოწმობენ 1972 წლის მაისში ამერიკის პრეზიდენტის სსრ კავშირში ვიზიტის დროს ხელმოწერილი დოკუმენტებიც. ერთ-ერთ მათგანში ხაზგასმულია, რომ სსრ კავშირი და შეერთებული შტატები „იხელმძღვანელებენ იმ საერთო ბრწყინვალე, რომ ატომურ საუკუნეში მათი ურთიერთობის შენაარსენებისათვის არ არსებობს სხვა საფუძველი, გარდა მშვიდობიანი თანაარსებობისა“.

რა თქმა უნდა, მსოფლიოში ჯერ კიდევ არიან აგრესიული იმპერიალისტური ძალები, რომლებიც განვლილ ათწლეულთა გაკვეთილების მიუხედავად, ცდილობენ შეაფერხონ ისტორიის წინსვლა იმ იმედით, რომ შეაჩერებენ რევოლუციურ პროცესს. შეასუსტებენ სოციალისტურ თანამეგობრობას.

მაგრამ, რეალური წინააღმდეგობის მიუხედავად, ერთიან საზოგადოებრივ საფუძველზე აგებული და ერთიანი მიზნით მთავრებული სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნები ერთად მიდიან წინ, ძლიერად ეხმარებიან ერთმანეთს, უნიარებენ გამოცდილებას სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების ყველა დონეზე.

„ჩვენ გვინდა, რომ სოციალიზმის მსოფლიო სისტემა, — თქვა ლ. ი. ბრეჟნევმა სკკპ XXIV ყრილობაზე, — იყოს ერთსულოვანი ოჯახი ხალხებისა, რომლებიც ერთად აშენებენ და იცავენ ახალ საზოგადოებას, ამდიდრებენ ერთმანეთს გამოცდილებითა და ცოდნით — იყოს, შეკავშირებული ძმა და მტკიცე ოჯახი, რომელშიც მსოფლიოს ადამიანები დაინახავდნენ თავისუფალ ერთა მომავალი მსოფლიო გაერთიანების პირველსახეს“.

ე. სეროვა,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი (საკდესი).

კაირო

ა. სადატის გამოსვლა

27 ოქტომბერი. (საკდესი). აქ პრეზიდენტ ა. სადათის თავმჯდომარეობით გაიმართა არაბთა სოციალისტური კავშირის ცენტრალური კომიტეტისა და არაბთა სოციალისტური კავშირის სახალხო-მეურნეობრივ საბჭოთა ერთობლივი ხხდომა, რომელშიც მონაწილეობდნენ ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის ხელმძღვანელი მოღვაწეები.

სხდომაზე საბჭოთა კავშირში თავისი ამსწინანდელი ვიზიტის შედეგების შესახებ მოხსენება გააკეთა ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა აზიზ სიდკიმ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვის მოლაპარაკებმა მიმდინარეობდა ურთიერთგაგების ჯითარებში და რომ ეგვიპტის დელეგაციას გულთბილად შეხვდნენ საბჭოთა კავშირში.

„ეგვიპტისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობას, — თქვა ა. სიდკიმ, — საფუძვლად უდევს ბარგაგული, უმაღალესი პრინციპები, რომლებსაც ვიცავთ როგორც ჩვენ — ეგვიპტელები, ისე საბჭოთა კავშირიც, და ეს ჩვენი ხალხების ნამდვილი მეგობრობის საფუძველია.

ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა შემდეგ აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირი პატიოსნად და კეთილშობილურად დადგა ჩვენს მხარეზე და გადაჭრით დაგმო შეერთებული შტატების პოზიცია, რომელიც მხარს უჭერს ისრაელის აგრესიულ პოლიტიკას.

ალბანეთ რა იარაღს ისრაელს, თქვა პრემიერ-მინისტრმა, შეერთებული შტატები ამავე დროს ხელს უშლის მსოფლიო საზოგადოებრიობას განსახორციელოს რაიმე ღონისძიებანი, რომლებიც საჭიროა იმისათვის, რომ სამართლიანად მოწესრიგდეს ახლო აღმოსავლეთის კრიზისი.

„შეერთებულმა შტატებმა, — თქვა მან, — ვეტოს უფლებაც კი გამოიყენეს უშიშროების საბჭოში, რათა ჩაეშალათ ისეთი რეზოლუციის მიღება, რომელიც ისრაელს“.

მოსკოვის მოლაპარაკების დროს, თქვა სიდკიმ, საბჭოთა ხელმძღვანელებმა განაცხადეს, რომ საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს ეგვიპტეს და სხვა არაბულ ქვეყნებს მიმდინარეობილ ტერიტორიების განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ისევე როგორც პალესტინელი ხალხის ბრძოლას თავისი უფლებებისათვის. ზოგიერთი ცდილობს ეგვიპტელ ჭორები, თითქოს საბჭოთა კავშირს ამერიკის შეერთებულ შტატებთან შეთანხმება დაედოს არაბული ქვეყნების ინტერესების ხარჯზე, ამგვარ ჭორებს, როგორც საბჭოთა ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, იმპერიალიზმის აგენტები ავრცელებენ, რათა შეფლი ჩამოგდონ საბჭოთა კავშირსა და არაბულ ქვეყნებს შორის.

რაც შეეხება ეგვიპტის სამხედრო პოტენციალის განმტკიცებას, განაცხადა სიდკიმ, საბჭოთა კავშირი ყოველ ღონეს იხმარს ამისათვის და მე ვფიქრობ, რომ აქ არ არის საჭირო ლაპარაკი ამ საკითხის დეტალებზე.

სანტიაგო

ხალხის მხარდაჭერით

27 ოქტომბერი. (საკდესი). „ანტიპატრიოტებმა და ფაშისტებმა ვერ განახორციელეს თავიანთი ცდები დემეზოთ მთავრობა ხალოტაჟის აქტების გზით, რომელთა საშუალებითაც ამირებდნენ ქვეყნის ცხოვრების მოშლას“, — ნათქვამია ხალხთა ერთიანობის ეროვნული პოლიტიკური კომიტეტის აქ გამოქვეყნებულ განცხადებაში.

განცხადებაში აღნიშნულია, რომ რეაქციამ მთელი ძალები და საშუალებანი გამოიყენა დასახული მიზნების მისაღწევად. რეაქციის შემოტევას შეერთებული შტატების მოხოპოლიები ხელძღვანელობდნენ.

„საშინაო და საერთაშორისო რეაქციის შეთქმულების წარმატებით ჩაფუშვა, იცხადებს სახალხო ერთიანობა, განაპირობა მასების მობილიზაციამ, მთავრობის მოქმედებამ და შეიარაღებული ძალების პატრიოტიზმმ. „ხალხის მასებმა გარკვეული როლი შეასრულეს და მნიშვნელოვანწილად შეუწყვეს ხელი რეაქციის განადგურებას ყველა ფრონტზე.

„მთავრობამ, — ნათქვამია განცხადებაში, — კვლავ ცხადყო, რომ იგი უფრო მეტი მხარდაჭერით სარგებლობს, ვიდრე ჩილეში ოდესმე არსებული რომელიმე სხვა მთავრობა. რესპუბლიკის პრეზიდენტის ენერგიულმა და კეთილგონივრულმა მოქმედებამ საუკეთესოდ დაადასტურა სმტკიცე მთავრობისა, „რომელიც ხალხმა შექმნა მძიმე ბრძოლაში და რომელსაც ჩილელი ერის ყველაზე შეგნებული და ქარგად ორგანიზებული ფენები იცავენ“.

კომიტეტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ, მიუხედავად ხალხის მიერ უკვე მოპოვებული წარმატებებისა, საჭიროა გადაჭრას სერიოზული პრობლემები სურსათით მოსახლეობის და ნედლეულით მრეწველობის მომარაგების დარგში. ამოცანა ის არის, რომ რაც შეიძლება სწრაფად ანაზღაურდეს დიდი ზარალი, რომელიც რეაქციის ძირგამოთხრელმა საქმიანობამ მიაყენა ქვეყანას.

განცხადებაში გამოთქმულია ეჭვი, რომ მშრომელები, რეაბილიტაციის მთავრობა წარმატებით შეასრულებენ ამ ამოცანებს და ამით დიდ გამარჯვებას მოიპოვებენ ჩილელი ხალხის მტრებზე.

კოტონუ

სახელმწიფო გადატრიალება

27 ოქტომბერი. (საკდესი). დაგომეაში მოხდა სახელმწიფო გადატრიალება, რომლის შედეგადაც ხელისუფლებას ხალოვანი ჩაუდგა არმია.

ადგილობრივი რადიოთი გამოსვლისას დაგომეის არმიის გენერალური შტაბის უფროსის ძალდგილმ მაიორმა მატიე კერეკუმ თქვა, რომ დაითხოვეს დაგომეის საარეზიდენტო საბჭო და მთავრობა, ეროვნული საკონსულტაციო კრება და სხვა პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციები. მან გამოაცხადა, რომ მთელი ძალაუფლება ქვეყანაში გადადის არმიის ხელში.

მაიორი მატიე კერეკუ იყო ერთ-ერთი ხელმძღვანელი 1967 წლის დეკემბერში მომზადარი სამხედრო გადატრიალებისა, რომლის შედეგადაც დაემხო გენერალ საოგლოს მთავრობა.

დაგომეა დასავლეთ აფრიკის რესპუბლიკაა. მისი დამოუკიდებლობა გამოცხადდა 1960 წლის 1 აგვისტოს. ქვეყ



ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲚᲐᲛᲐᲖ ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲒᲖᲐ ᲡᲝᲩᲘ-ᲒᲐᲒᲠᲐ.

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: ᲐᲛ ᲒᲖᲘᲡ ᲔᲠᲗ-ᲔᲠᲗᲘ ᲣᲒᲐᲜᲘ.

Ა. ᲛᲐᲛᲐᲒᲐᲠᲘᲐᲜᲘᲡ ᲤᲝᲢᲝ. (ᲐᲮᲐᲚᲘᲤᲝᲠᲛᲘᲡ ᲤᲝᲢᲝᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ).

მ. ᲩᲘᲒᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲘ

ᲙᲘᲔᲚᲝᲒᲝᲠᲓᲚᲘᲐᲜᲘ. 25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ. („ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ ᲡᲞᲔᲪ. ᲙᲝᲠᲠ.). მ. ᲩᲘᲒᲝᲠᲘᲜᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲘᲐᲚᲖᲔ ᲒᲐᲛᲘᲐᲠᲗᲐ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲢᲣᲠᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲘ. რ. ᲜᲔᲣᲛᲔᲢᲪᲔᲜᲝᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲣᲐ Ა. ᲑᲔᲜᲘᲜᲒᲖᲔ (ᲒᲓᲠ), Ა. ᲡᲣᲔᲢᲘᲜᲐᲛ — Კ. ᲚᲐᲜᲒᲔᲒᲘᲖᲔ (ᲞᲝᲚᲜᲔᲚᲘ), Ა. ᲐᲜᲘᲙᲔᲔᲕᲐ — Ვ. ᲜᲘᲚᲑᲔᲠᲨᲢᲔᲘᲜᲘ, რ. ᲮᲝᲚᲛᲝᲕᲐ — Ბ. ᲝᲘᲐᲛᲑᲝᲜᲝ. ᲧᲐᲜᲘ ᲘᲧᲝ ᲝᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ Ლ. ᲨᲔᲢᲔᲘᲜ-Ა. ᲙᲝᲜᲬᲘᲜᲐ (ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ) ᲓᲐ Ვ. ᲪᲔᲨᲛᲝᲕᲘᲩᲘᲡ-ᲔᲒ. ᲒᲘᲚᲔᲠᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲨᲘ. Ბ. ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲓᲐ Ლ. ᲞᲝᲚᲣᲒᲐᲔᲕᲘᲡᲙᲘᲡ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲔᲑᲘᲗᲘ ᲓᲐᲛᲗᲐᲕᲠᲓᲐ.

ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ ᲡᲐᲜ-ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝᲡᲨᲘ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘᲡ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲨᲐᲮᲛᲐᲢᲘ“ ᲐᲫᲚᲔᲣᲜᲔᲑᲓᲐ ᲘᲛ ᲛᲝᲬᲐᲓᲠᲐᲯᲐᲗᲐ ᲡᲘᲐᲡᲗᲐᲜ, ᲠᲝᲛᲚᲔᲑᲘᲪ ᲛᲘᲬᲣᲚᲘᲡᲬᲘᲜᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲜᲐᲠ ᲡᲐᲜ-ᲐᲜᲢᲝᲜᲘᲝᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲠᲗᲝᲨᲝᲠᲘᲡᲝᲛ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡᲐ (ᲐᲨᲨ, ᲢᲔᲮᲐᲡᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘ). ᲐᲡᲢᲐᲠᲣᲚᲝᲑᲐ 14 ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘᲡ ᲓᲦᲔᲡ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲡᲐᲠᲐᲠᲘᲡ ᲤᲝᲜᲓᲘᲡ 10 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘᲐ, ᲐᲫᲚᲔᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲯᲘᲚᲓᲘᲡ — 4 ᲐᲗᲐᲡᲘ ᲓᲝᲚᲐᲠᲘ („ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲘᲖᲘ ᲫᲐᲚᲘᲐᲜ ᲞᲐᲢᲐᲠᲐᲐ“ — ᲒᲐᲜᲐᲪᲮᲐᲓᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲗᲐ რ. ᲤᲘᲨᲔᲠᲘᲗ).

ᲐᲘ, ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲝᲜᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲐ: ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ რ. ᲤᲘᲨᲔᲠᲘ (ᲐᲨᲨ), ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲣᲤᲚᲘᲡ-ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ Ბ. ᲡᲞᲐᲡᲘ (ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ), ᲒᲠᲝᲡᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ Ბ. ᲡᲞᲐᲡᲘ (ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ), ᲒᲠᲝᲡᲛᲐᲘᲡᲢᲔᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ Ꭲ. ᲚᲐᲠᲡᲔᲜᲘ (ᲓᲐᲜᲘᲐ), Ლ. ᲞᲝᲠᲢᲘᲜᲘ (ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ), Ვ. ᲞᲝᲠᲢᲐ (ᲩᲔᲮᲝᲡᲚᲝᲕᲐᲙᲘᲐ), Შ. ᲒᲚᲘᲒᲝᲠᲘᲩᲘ (ᲣᲒᲠᲝᲡᲚᲐᲕᲘᲐ), რ. ᲰᲘᲣᲑᲜᲔᲠᲘ (ᲒᲤᲠ), Გ. ᲛᲔᲙᲘᲜᲒᲘ (ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ), Უ. ᲑᲠᲐᲣᲜᲘ (ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲐ), Ლ. ᲔᲕᲐᲜᲡᲘ, Უ. ᲚᲝᲛᲑᲐᲠᲓᲘ, Ლ. ᲙᲐᲕᲐᲚᲪᲘᲠᲘ (ᲧᲕᲚᲔᲗᲘ ᲐᲨᲨ), ᲡᲐᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ დ. ᲡᲐᲚᲝᲜᲘ (ᲙᲐᲜᲐᲓᲐ), Ჰ. ᲙᲐᲕᲐᲚᲐᲜᲘ (ᲰᲣᲐᲠᲢᲐ-ᲠᲘᲙᲘ), ᲒᲣᲠᲒᲔᲜᲘᲫᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ (ᲐᲨᲨ).

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲩᲕᲘᲡ ᲚᲐᲘᲤ ᲔᲜᲓ ᲠᲔᲕᲘᲣ“ ᲬᲔᲠᲡ: „ᲒᲐᲛᲘᲪᲓᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲓᲠᲐᲯᲔᲑᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲐᲮᲐᲡᲐᲠᲯᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲚᲘ ᲐᲠᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲓᲠᲐᲯᲔᲑᲘ ᲓᲦᲔᲡ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲔᲢᲘ ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲝᲑᲐ ᲛᲝᲡᲐᲠᲗᲕᲘᲡ. ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲡᲐᲠᲝᲜᲢᲐᲪᲘᲝ ᲡᲘᲐᲡ ᲐᲠᲘᲡ 20-ᲓᲐᲜ 56 ᲬᲚᲐᲛᲓᲔ (ᲙᲔᲠᲫᲘᲡ). ᲘᲛᲘᲡ ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ, ᲠᲝᲛ ᲩᲕᲔᲜᲡ ᲙᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲩᲜᲔᲚᲘ ᲛᲝᲬᲐᲓᲠᲐᲯᲔᲑᲗᲐ ᲛᲝᲛᲔᲚᲘ ᲞᲚᲔᲯᲐᲓᲐ ᲠᲝᲑᲔᲠᲢ ᲤᲘᲨᲔᲠᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲑᲘᲗ, ᲐᲛ ᲣᲙᲐᲜᲡᲙᲜᲔᲚ ᲬᲚᲔᲑᲨᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲠᲘᲗ ᲐᲠᲐᲠᲐ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲐ. ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘᲡ ᲓᲐᲠᲘᲒᲔᲓᲠᲐᲓ ᲓᲐᲜᲗᲛᲜᲘᲚᲘᲐ საერთაშორისო ᲝᲡᲢᲐᲢᲔᲑᲘ Გ. ᲙᲝᲚᲢᲐᲜᲝᲕᲡᲙᲘᲡ.

ᲒᲘᲬᲕᲔᲕᲗ ᲛᲐᲡᲠᲒᲠᲘᲕ ᲥᲠᲘᲡᲖᲔ

ᲡᲐᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝ ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲡᲐᲜᲐᲰᲐᲝᲑᲘᲡ — ᲛᲐᲡᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲙᲠᲝᲡᲣᲚᲔᲑᲘ ᲐᲦᲓᲒᲔᲜᲔᲡ ᲒᲐᲜᲘᲖᲠᲐᲑᲣᲚ ᲙᲝᲛᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ თბილისის კომიტეტმა და ფიზიკური კულტურისა და სპორტის საქალაქო კომიტეტმა.

მძლეოსნური კროსი, რომელიც საბჭოთა კავშირის შექმნის 50-წლისთავისადმი მიძღვნილი, დანიშნულია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე — სტალინისა და ჩელიუსკინელების სახელობის ბიდებს შორის. იგი გაიმართება დღეს (დღის 3 სათიდან) და ხვალ (დილის 9 საათიდან).

ᲐᲡᲙᲐᲠᲔᲯᲝᲒᲐᲗᲐ ᲙᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ

ᲑᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲩᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ მორიგი ტურის მატჩები მეორე ლიგის მესამე ზონის გუნდებს შორის.

ᲐᲛ ᲢᲣᲠᲘᲡ 9 ᲛᲐᲢᲩᲘᲓᲐᲜ ᲨᲔᲓᲐᲠᲔᲑᲘᲗ ᲣᲮᲒᲝᲚᲘᲐᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲛᲓᲒᲐ ᲝᲠᲘ — ᲛᲐᲮᲐᲠᲐᲫᲘᲡ „ᲛᲔᲠᲪᲮᲐᲚᲛᲐ“ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 3:0 ᲓᲐᲐᲛᲐᲠᲪᲮᲐ ᲞᲝᲛᲝᲚᲬᲙᲘᲡ „ᲛᲐᲨᲘᲜᲝᲡᲢᲠᲝᲢᲝᲠᲘ“, ᲮᲝᲚᲝ ᲚᲘᲞᲔᲪᲙᲘᲡ „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠ�გᲘ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲓᲐ ᲙᲣᲠᲡᲙᲘᲡ „ᲨᲠᲝᲛᲘᲗᲘᲗ ᲠᲣᲩᲔᲠᲕᲔᲑᲗᲐᲜ“ — 2:3.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘᲡ „ᲒᲣᲠᲘᲐᲛ“ ᲒᲐᲡᲣᲚᲘᲗ ᲛᲐᲢᲩᲘᲡ ᲛᲝᲣᲒᲝ ᲙᲠᲐᲡᲜᲝᲓᲐᲠᲘᲡ „ᲧᲣᲑᲐᲜᲘ“ — 1:0, ᲮᲝᲚᲝ ᲑᲐᲗᲣᲛᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ ᲓᲐ ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲘᲡ „ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠ�გᲛᲐ“ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲛᲝᲛᲓᲐᲜᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲜᲐᲘᲠᲘ ᲐᲜᲒᲐᲠᲘᲨᲘᲗ 1:2 ᲬᲐᲒᲒᲣᲡ, ᲨᲔᲡᲐᲑᲐᲛᲘᲡᲐᲓ, ᲜᲝᲛᲝᲛᲡᲙᲝᲕᲘᲡᲙᲘᲡ „ᲮᲘᲛᲘᲙᲗᲐᲜ“ ᲓᲐ ᲝᲠᲘᲝᲚᲘᲡ „ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲡᲗᲐᲜ“.

ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲣᲚᲘ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲜᲚᲘᲜᲘᲚᲘᲐ ᲤᲝᲗᲘᲡ „ᲙᲝᲚᲘᲓᲘᲡᲗᲐᲜ“ ᲓᲐ ᲑᲔᲚᲐᲘᲐ ᲙᲐᲚᲘᲢᲘᲡᲗᲐᲜ“ (1:1), ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲮᲝᲩᲣᲛᲘᲡ „ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡᲐ“ ᲓᲐ ᲢᲘᲠᲐᲡ�პᲝᲚᲘᲡ „ᲗᲕᲔᲗ-ᲓᲐᲡ“ (0:0) ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲔᲑᲨᲘ.

ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

10.05 — ᲤᲐᲠᲐᲓᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ. ᲢᲐᲜᲓᲐᲠᲐᲯᲘᲜᲘᲡ ᲧᲕᲔᲚᲐᲡᲐᲗᲕᲘᲡ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 10.15 — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 10.30 — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ — ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲛᲐᲗᲔᲛᲐᲢᲘᲙᲘᲡᲐᲨᲘ, 12.00 — ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲯᲕᲘᲡ. „ᲢᲐᲙᲐᲠᲘᲡᲚᲐᲡ ᲭᲐᲑᲣᲙᲘᲡ“, 12.10 — „ᲑᲐᲡᲢᲐᲠᲓᲝᲡ ᲞᲐᲜᲝᲠᲐᲛᲐ“, 12.40 — „ᲨᲕᲘᲜᲘᲡᲬᲐᲕᲚᲝᲗ ᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲘ“, 13.00 — ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ — „ᲨᲝᲒᲐᲓᲘ ᲑᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ (ᲛᲔᲐᲗᲔᲣᲚᲡᲚᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ), 13.25 — 30 ᲬᲣᲗᲘ ᲙᲘᲜᲝᲡ ᲛᲝᲧᲕᲐᲠᲣᲚᲗᲐᲗᲕᲘᲡ“, 14.00 — „ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ“ — ᲡᲐᲛᲔᲪᲜᲘᲠᲝ-ᲞᲝᲞᲣᲚᲐᲠᲣᲚᲘ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 14.30 — ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲓᲐᲡᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ — ᲚᲔᲥᲪᲘᲐ ᲖᲝᲒᲐᲓ ᲤᲘᲖᲘᲐᲖᲔ, 15.30 — ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲯᲕᲘᲡ — „ᲘᲖᲝᲛᲐᲪᲐ-50“, 16.00 — ᲒᲐᲓᲪᲔᲛᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲐᲠᲛᲘᲡ ᲛᲔᲝᲛᲠᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, 16.45 — ᲗᲐᲢᲚᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲝᲜ ᲓᲐᲓᲒᲛᲐ „Ა�გᲐᲗᲐ ᲗᲝᲕᲖᲓᲔᲑᲐ“, 17.15 — ᲤᲐᲠᲐᲓᲘ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲐ — „ᲪᲮᲝᲕᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝᲨᲘ“ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 18.15 — ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ, 18.20 — ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲨᲔᲑᲖᲔᲓᲠᲐ ᲨᲣᲐᲦᲐᲛᲘᲡᲐᲡ“, 18.40 — „ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲙᲘᲜᲝ ᲑᲠᲝᲚᲓᲔᲑᲡ“, 19.05 — ᲙᲘᲜᲝᲜᲐᲠᲯᲕᲘᲡ „ᲩᲕᲔᲜᲘ ᲓᲠᲝ“, 19.15 — ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲓᲦᲐᲕᲚᲔᲛᲝᲡᲘᲚᲘ, ᲕᲐᲚᲛᲝᲮᲓᲘᲚᲘ“ — ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲛᲘᲥᲔᲚᲐᲫᲔ, 19.35 — ᲓᲝᲙᲣᲛᲔᲜᲢᲣᲠᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲘᲧᲐᲚᲗᲝᲗᲡ ᲜᲐᲣᲭᲔᲓᲐᲠᲗ“, 19.55 — „ᲨᲕᲘᲪᲧᲐᲠᲓᲔᲑᲘ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲥᲐᲚᲐᲥᲘ“, 20.15 — „ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲡᲐᲛᲧᲐᲠᲝ“ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 20.50 — „ᲰᲔᲚᲔ — ᲠᲐᲓᲘᲝᲗᲘ“, 20.55 — „ᲛᲝᲐᲛᲑᲔ“ — ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ, 21.20 — ᲙᲝᲜᲪᲘᲔᲠᲢᲘ, 22.00 — „ᲕᲘᲠᲔᲛᲘᲐ“ — ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲐ (ᲒᲐᲓᲛᲝᲪᲔᲛᲐ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲓᲐᲜ), 22.30 — „ᲞᲝᲚᲘᲪᲘᲠᲐᲰᲔ ᲙᲐᲙᲐᲑᲐᲫᲔ“.

ᲛᲔᲝᲠᲔ ᲞᲠᲝ�გᲠᲐᲛᲘᲗ

19.05 — ᲒᲐᲙᲕᲔᲗᲘᲚᲘ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲣᲠᲘ ᲡᲘᲢᲧᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ, 19.40 — „ᲘᲠᲐᲙᲚᲘ ᲐᲜᲓᲠᲝᲜᲘᲙᲐᲨᲕᲘᲚᲘ ᲛᲝᲒᲕᲘᲗᲮᲠᲝᲑᲡ“, 20.50 — ᲛᲮᲐᲢᲕᲠᲣᲚᲘ ᲤᲘᲚᲛᲘ „ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲭᲐᲠᲑᲣᲭᲘ“.

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝᲡ“ ᲡᲢᲐᲓᲘᲝᲜᲘ

(ᲗᲐᲕᲘ)

28 ᲓᲐ 29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐᲖᲔ „ᲐᲐ“ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘ ᲨᲝᲠᲘᲡ (ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲚᲘ�გᲐ).

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ) — „ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ (ᲙᲘᲔᲕᲘ)
ᲮᲐᲗᲓᲐᲠᲘᲒᲝ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ.

29 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ
ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲘ ᲨᲔᲛᲐᲯᲐᲒᲔᲜᲚᲝᲑᲐ
(ᲓᲐᲡᲐᲬᲧᲘᲡᲘ 3 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ).

ᲠᲐ ᲕᲜᲐᲮᲝᲗ, ᲠᲐ ᲛᲝᲕᲘᲛᲔᲜᲘᲗ

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ

28 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ

Შ. ᲤᲐᲚᲐᲛᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲝᲞᲔᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲐᲚᲔᲢᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ᲠᲘᲒᲝᲚᲔᲢᲘ; ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ᲮᲐᲜᲣᲛᲐ; ᲛᲐᲠᲯᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ — ᲜᲣ ᲒᲝᲨᲘᲜᲘᲫᲔ, ᲓᲦᲔᲓ; ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲐᲑᲐᲨᲘᲫᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲔᲓᲘᲘᲡ — ᲡᲘᲛᲓᲔᲠᲐ ᲗᲘᲗᲘᲚᲘᲜᲘᲡᲗᲕᲘᲡ.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲣᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲡᲐᲞᲔᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝ

ᲘᲣᲬᲧᲔᲑᲐ, რომ „ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘᲡ“ 1972 ᲬᲚᲘᲡ 26 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲡ ნომერში გამოქვეყნებულ ჩვენს განცხადებაში რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებთან არსებულ მოსამზადებელ განყოფილებაზე 1972-73 სასწავლო წლისათვის მსმენელთა მიღების შესახებ ჩვენი მიზნით გაპარულია შეცდომა. მეორე სვეტის მეორე აბზაცი უნდა იკითხებოდეს: „1972 ᲬᲚᲘᲡ ᲓᲦᲘᲡ ᲜᲝᲛᲑᲠᲘᲡᲐᲜ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲚᲘᲗ...“ შემდეგ რიგორც ტექსტშია.

რედაქტორი
Დ. ᲛᲔᲔᲓᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠᲘ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

ᲕᲘᲜ ᲠᲐ ᲛᲝᲘᲒᲝ

ᲛᲔ-10 ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲤᲣᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲘᲕᲗᲔᲑᲘᲡ 1972 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔ-10 ᲒᲐᲛᲝᲨᲕᲔᲑᲘᲡ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘᲡᲐ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐᲗᲐ ᲢᲘᲠᲐᲟᲘ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ 1972 ᲬᲚᲘᲡ 25 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ Ქ. ᲡᲐᲩᲮᲔᲠᲔᲨᲘ. ᲢᲘᲠᲐᲟᲨᲘ ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲓᲐ 137 ᲜᲘᲕᲗᲝᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲓᲐ 154.863 ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲐ 279.000 ᲛᲐᲜᲔᲗᲘ ᲗᲐᲜᲮᲘᲡᲐ. ᲛᲝᲒᲔᲑᲐ ᲮᲓᲐ ᲚᲐᲢᲐᲠᲘᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲑᲘᲚᲔᲗᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ ᲜᲝᲛᲠᲔᲑᲡ:

ᲡᲔᲠᲘᲘᲡ №	ᲑᲘᲚᲔᲗᲘᲡ №	ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲐ ᲐᲜ ᲤᲣᲚᲐᲓᲘ ᲛᲝᲒᲔᲑᲘᲡ ᲝᲓᲔᲜᲝᲑᲐ	ᲛᲝᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲜᲘᲕᲗᲘᲡ ᲦᲘᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲛᲗᲐ ᲨᲠᲘᲤᲢᲘᲗ ᲓᲦᲔ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲓᲐᲓᲒᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲥᲜᲐ
27907	026 *)	მაცივარი	250 — 00
27917	270 *)	100 მანეთი	—
27924	407 *)	30 მანეთი	—
27930	332 *)	25 მანეთი	—
27939	174 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
27955	095 *)	30 მანეთი	—
27960	173 *)	50 მანეთი	—
27966	225 *)	30 მანეთი	—
27967	492 *)	25 მანეთი	—
27977	159 *)	საგზური საბჭოთა კავშირის ქალაქებში სამოგზაუროდ ტურისტულ მატარებელ „საქართველოთი“	165 — 00
27990	181 *)	ტელევიზორი	436 — 00
27991	151 *)	პიანინო	650 — 00
27993	308 *)	100 მანეთი	—
28000	423 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28020	119 *)	100 მანეთი	—
28043	412 *)	30 მანეთი	—
28056	137 *)	50 მანეთი	—
28061	025 *)	50 მანეთი	—
28065	074 *)	20 მანეთი	—
28099	490 *)	ელექტროსამართებელი	22 — 50
28107	188 *)	მაცივარი	250 — 00
28121	342 *)	200 მანეთი	—
28194	337 *)	50 მანეთი	—
28199	234 *)	30 მანეთი	—
28211	101 *)	30 მანეთი	—
28232	089 *)	100 მანეთი	—
28256	300 *)	ტრანზისტორი „ᲕᲔᲤᲣ-201“	93 — 00
28262	081 *)	50 მანეთი	—
28273	285 *)	125 მანეთი	—
28277	162 *)	ტრანზისტორი „ᲕᲔᲤᲣ-201“	93 — 00
28278	304 *)	1000 მანეთი	—
28279	239 *)	25 მანეთი	—
28280	030 *)	100 მანეთი	—
28281	057 *)	ფოტოაპარატი	23 — 00
28297	291 *)	20 მანეთი	—
28320	324 *)	100 მანეთი	—
28322	038 *)	30 მანეთი	—
28324	178 *)	მაცივარი	250 — 00
28327	069 *)	30 მანეთი	—
28330	1 — 500	10 მანეთი	—
28339	117 *)	მაცივარი	250 — 00
28343	143 *)	20 მანეთი	—
28356	352 *)	ავტომობილი „მოსკვიჩი“	4936 — 00
28364	014 *)	100 მანეთი	—
28383